CIAN MAGENTA YALLOW BLACK


საწვავზე კონტროლი გაისად დაიწყება, მანქანებზე — 2 წლის შემდეგ 12

„ივანიშვილი ბურჭულაძეს პრეზიდენტობას სთავაზობდა“ 13

თამაზაშვილი ელისაშვილს: თქვენ ხართ ცილისმწამებელი, მატყუარა ადამიანი! 7

„ნებისმიერ შემდგარ სახელმწიფოში პაატა ზაქარეიშვილი მინისტრი არ იქნებოდა“ 8

ნინო გვენეტაძემ აგვისტოში მხოლოდ დანამატის სახით 10 203 ლარი აიღო 2


# ალია


რეკლამა „ალიაში“

5 77 444 442



N182 /3304/ 2 დეკემბერი 2015 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან


## მინისტრები: ნოდარ ხადური, თამარ სანიკიძე, მიხეილ გიორგაძე პოსტებს დაემშვიდობებიან

5



## თაღლითური სქემა, რომელიც სპეციალურად ქალებისთვისაა შექმნილი

9



გვიპასუხეთ, იუსტიციის მინისტრო, „ნიკორას“ დაცვის თანამშრომელს თავდაცვის საშუალება რომ ჰქონოდა, კრიმინალთან გამკლავების შანსი ხომ გაეზრდებოდა?!

2



ეეჰ, ბატონო თამაზ, იმიტომ აქვს ჩვენს ქვეყანას საქმე კარგად, სხვებს რომ მიგჩერებივართ პირდაღებულები

3



## რისთვის შეხვდა და რაზე ესაუბრა დეპუტატი ქანთარია მთავარ პროკურორს?

13





## დედას გაფიცებთ, ბატონო მინისტრო, რა თქვით ახლა აქ ან ახალი, ან ისეთი, რომ გული გაგვიხარებდა? არც არაფერი!

8



## „ჩვენი ინიციატივა იყო, რომ პენსიები გაზრდილიყო 40 ლარით“

7

„ოცნებამ“ „ალიას“ რჩევები გაითვალისწინა — მთავრობა 3-წლიანი მუშაობის შედეგებს გაარეკლამებს — რა თანხა ერგება ბეჭდურ მედიას?!

4



უცბად ხელი მკრა, ყვირილი დაიწყო და დიდხანს გაჰყვიროდა: „ჩამეხუტა, ხალხო, ჩამეხუტა“...

6




თუ ევროპაში დაერივნენ მსგავსი ბრალდებების გამო ავტორიტეტულ ფეხბურთელებსა და ჩინოვნიკებსაც კი, საქართველოში რატომ არ ხდება იგივე 10

სახელმწიფო ვალი ისტორიულ მაქსიმუმზე ავიდა 8

„ხელისუფლება წინასწარ გვეუბნება, რომ გააყალბებს არჩევნებს და მოიპოვებს გამარჯვებას!“ 7

უფასო სასადილოებში მოსიარულეთა რიცხვი 22 704-დან 26 000-მდე გაიზარდა 13

„ნაცმოძრაობა“ ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე წინასწარი პატიმრობის აკრძალვას მოითხოვს 9

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03

# გვიპასუხეთ, იუსტიციის მინისტრო, „ნიკორას“ დაცვის თანამშრომელს თავდაცვის საშუალება რომ ჰქონოდა, კრიმინალთან გამკლავების შანსი ხომ გაეზრდებოდა?!



30 ნოემბერს თბილისში, კერძოდ კი ვარკეთილში, „ნიკორას“ სუპერმარკეტი დააყაჩაღეს. თვითმხილველების ინფორმაციით, თავდამსხმელმა დაახლოებით 15 გასროლა განახორციელა, რის შედეგადაც სუპერმარკეტის დაცვის თანამშრომელი დაიჭრა – მას 7 ტყვია აქვს მოხვედრილი.

როგორც „ალიას“ „ნიკორას“ მარკეტინგის დირექტორმა ნონა ძნელაძემ განუცხადა, დაჭრილი თანამშრომელი ინგოროყვას კლინიკაშია მოთავსებული, სადაც ორი ოპერაცია ჩაუტარდა. როგორც ექიმები ამბობენ, პაციენტის მდგომარეობა მძიმეა, თუმცა, საბედნიეროდ, ჭრილობები სასიკვდილო არ არის.

„ალიამ“ გაარკვია, რომ დაჭრილი თამაზ ღარიბაშვილი 52 წლისაა, ჰყავს მეუღლე და შვილები. ოპერაციის ხარჯებს მას სადაზღვევო კომპანია დაუფარავს, თუმცა ფინანსურ მხარდაჭერას გაუწევს როგორც „ნიკორა“, ისე კომპანია, რომელშიც ის მუშაობს.

„ალიამ“ ისიც გაარკვია, რომ „ნიკორას“ სუპერმარკეტებს დაცვის კომპანია United Security იცავს...

**ახლა გვინდა იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანსა და ყველა იმ ჩინოვნიკს მივმართოთ, რომლებიც იარაღის დაკანონებაზე კატეგორიულ უარს აცხადებენ და თამამად შეიძლება ითქვას, ამით საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებს ღალატობენ — ყველა მსგავსი კრიმინალური შემთხვევის შედეგად დაჭრილი თუ დაღუპული ადამიანების სისხლი თქვენს კისერზეა და დიახ, თქვენ ხართ დამნაშავეები!**

**რატომ და იმიტომ, რომ ყველა კრიმინალი, რაც არ უნდა შთამბეჭდავი ციფრები დაგვისახელოს ხოლმე შსს-მ — ამდენი პისტოლეტი ამოვიღეთ, იმდენი ავტომატი და უფრო მეტი ტყვია-წამალიო, ყველა ბოროტმოქმედი მაინც იარაღით დაძრწის და შეუძლია, სულ რაღაც, 250 ლარის სანაცვლოდ ნებისმიერი ადამიანი სასიკვდილოდ გაიმეტოს.**

**ღმერთი შეეწიოს ამ მამაკაცს და მალე გამოჯანმრთელდეს, მაგრამ ყაჩაღებისა და მკვლელების სისხლიანი ხელით კიდევ რამდენი ადამიანი გამწარდება, კიდევ რამდენ ადამიანს დაცხრილავენ, არავინ იცის. და ესეც თქვენს კისერზე იქნება, ქალბატონო იუსტიციის მინისტრო!!!**

როცა ამ შემთხვევის შესახებ შევიტყვე, ბუნებრივად გამიჩნდა კითხვა – რას და როგორ იცავს დაცვის თანამშრომელი, რომელსაც არ აქვს არა თუ ცეცხლსასროლი იარაღი, არამედ თუნდაც ელექტროშოკერიც კი. რა ფუნქცია აქვს დაცვის თანამშრომელს მსგავს სუპერმარკეტებში – რომელიმე გაჭირვებული ადამიანი თუ არაჟანს ან ძეხვს მოიპარავს (სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია), ის ლანძღოს, ნოტაციები უკითხოს და გარეთ პანღურით გააგდოს?! ჰო, ნუ პოლიციას გამოიძახებს თუ მთვრალი კლიენტი დებოშს მოაწყობს, მაგრამ ამის გაკეთება ხომ გამყიდველსაც შეუძლია და კონსულტანტსაც?

ძალიან უცნაურად გვეჩვენება, როცა ასეთი სარისკო პროფესია აქვს დაცვის თანამშრომელს, როცა ამდენი ყაჩაღი და თავზეხელაღებული დაძრწის, იარაღი გავიგეთ, კანონითაა აკრძალული, მაგრამ თუნდაც ელექტროშოკერი ან სხვა არადეტალური შედეგის იარაღი რატომ არ აქვს თან?





**ამ კითხვით „ალიამ“ დაცვის კომპანია United Security-ის დირექტორ ალეკო ბიბილაშვილს მიმართა:**

– ელექტროშოკერის ტარება-გამოყენების უფლება, რა თქმა უნდა, გვაქვს, მაგრამ ეს დამოკიდებულია იმაზე, რა მოთხოვნები აქვს კომპანიას, რომელიც ჩვენი მომსახურებით ინტერესდება.

**— რა, ბატონო ალეკო, თავად ამბობენ ამაზე უარს?**

– დიახ, თავად ამბობენ, რასაც იმით ხსნიან, რომ კლიენტის თვალში შესაძლოა, ეს არცთუ კარგად გამოჩნდეს, ცუდ ტონად ჩაეთვალოს კომპანიას.

**— ვარკეთილის ინციდენტის დროს კი, ალბათ, ელექტროშოკერი ვერ უშველიდა თქვენს თანამშრომელს, მაგრამ ჯიბეებში ხელებჩაწყობილ დაცვის თანამშრომელს სხვა რა დანიშნულებაღა აქვს? ესეც რომ არ იყოს, ასეთი სარისკო საქმე ავალია და რაღაცით ხომ უნდა შეეძლოს საკუთარი თავის, ობიექტისა და ხალხის დაცვა, თავდამსხმელის განეიტრალება?**

– რა თქმა უნდა, ამის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, მაგრამ ჩვენ დამკვეთის ინტერესებს ვითვალისწინებთ.

**— და საკუთარი თანამშრომლების ინტერესები და უსაფრთხოება ამით ხომ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება? ბოლოს და ბოლოს, ამდენი დაცვის კომპანიაა, არ შეგიძლიათ, რაღაც ინიციატივით მიმართოთ შესაბამის უწყებებს, რომ თუნდაც ასეთი სარისკო პროფესიის მქონე ადამიანებს ჰქონდეთ იარაღის ტარების უფლება? „ალია“ და „ქრონიკა“ ამაზე ლამის ყოველდღე წერს, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავს!**

– გეთანხმებით, იარაღის ტარების უფლება სარისკო პროფესიის მქონე ადამიანებს უნდა ჰქონდეთ, მაგრამ ძალიან ბევრი ნიუანსია, დიდი სამუშაოები იქნება გასაწევი.

**— და ამ „დიდი სამუშაოების“ გაწევა არ სჯობს ადამიანების სიცოცხლის რისკის ქვეშ დაყენებას?**

– მე მგონია, რომ იარაღი რომ ჰქონდეს დაცვის თანამშრომელს, თავდამსხმელი უფრო მეტად მომზადებული იქნება და შეიძლება ბევრად უარესი შედეგები მივიღოთ.

**— რას ამბობთ, ბატონო ალეკო, ამერიკაშიც და ყველა იმ ქვეყანაშიც, სადაც იარაღი ლეგალიზებულია, სტატისტიკით დანაშაულები მნიშვნელოვნადაა შემცირებული — ყაჩაღობაც, ქურდობაც, გაუპატიურებაც, მკვლელობაც.**

– კი, მაგრამ ეს ხომ საქართველოა?

**— და საქართველო რა შუაშია?**

– ნუ, რას ვიზამთ, ასეთი რეალობაა და...

**— ჰოდა, ეს რეალობა საშინელია, ბატონო ალეკო, ხომ უნდა იზრუნოს ვინმემ მის შეცვლაზე?**

– აბა, რა გითხრათ?..

**ჩვენ ნურაფერს გვეტყვით, კაცო, მაგრამ იმ დაჭრილი ადამიანის ოჯახს რას ეტყოდით, უფრო უარესი შედეგი რომ დამდგარიყო?!**

**ჰო, ამაზე უფრო აქტიურად იქ უნდა იმსჯელონ, სადაც ჯერ არს, მაგრამ თუ ერთად არ შევუჩიჩხინეთ, თუ ყველამ არ მოვითხოვეთ და ერთად არ ავუხსენით, რომ შეიარაღებულ ბოროტმოქმედებს შიშველი ხელებით ვერას დავაკლებთ, ისევ გაგრძელდება ჩვენი ხოცვა-ჟლეტა და მისაღებია ეს საშინელი რეალობა?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნინო გვენეტაძემ აგვისტოში მხოლოდ დანამატის სახით 10 203 ლარი აიღო



ნინო გვენეტაძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე 2015 წლის 20 მარტიდან დაინიშნა. მას ამ დროიდან ოქტომბრის ჩათვლით, ანუ 8 თვეში, ანაზღაურების სახით (როგორც თანამდებობრივი სარგო, ასევე, დანამატი) აღებული აქვს 81 791 ლარი.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის სახელფასო ანაზღაურების შესახებ ოფიციალურად გამოთხოვილი მონაცემების მიხედვით, ირკვევა, რომ ნინო გვენეტაძის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო 7 ათასი ლარია. მას მხოლოდ მარტში აქვს აღებული 2 666 ლარი, ვინაიდან აღნიშნულ თანამდებობაზე 20 მარტიდან დაინიშნა.

8 თვის განმავლობაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობრივმა სარგომ 51 666 ლარი შეადგინა. ნინო გვენეტაძემ ამ ხნის განმავლობაში ყველა თვეში აიღო დანამატი, ჯამში, 30 125 ლარი. მთლიანად კი 8 თვეში მისმა ანაზღაურებამ 81 791 ლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ნინო გვენეტაძემ დანამატის ყველაზე დიდი რაოდენობა აგვისტოში აიღო – 10 203 ლარი. მას ერთ თვეში (აგვისტო), თანამდებობრივ სარგოსთან (7 ათასი ლარი) ერთად, 17 203 ლარი აქვს დარიცხული.

შევეცადეთ, უზენაესი სასამართლოდან მოგვეპოვებინა ინფორმაცია იმის შესახებ, რა დამსახურებისთვის აიღო აგვისტოში ნინო გვენეტაძემ ყველაზე დიდი რაოდენობის დანამატი (დანარჩენ თვეებში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დანამატები 3 ათასი ლარის ფარგლებში მერყეობს), თუმცა ამ კითხვაზე უწყებაში არ გვიპასუხეს. (ipress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ISIS-ისთან კავშირის ბრალდებით დაკავებულ 4 პირს პატიმრობა შეეფარდა



სუს-ის მიერ ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირის ბრალდებით დაკავებულ პირებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის მოთხოვნა გირაოს თაობაზე. საქმეზე წინასასამართლო სხდომა 21 იანვარს გაიმართება.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირის ბრალდებით 4 პირი დააკავა. მათგან სამი სოფელ ნასაკირალიდანაა, ერთი კი – ხელვაჩაურიდან. (ნიუპოსტი)

– გარეშე ფაქტორებს რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ ავიცილებთ, თუმცა ზოგჯერ შეიძლება გარეშე ფაქტორები, რომლებიც არცთუ სასიამოვნოა, ჩვენს სასარგებლოდაც შეტრიალდეს რაღაცა დოზით, იგივე ტურისტების ნაკადების შემცირება იქ ერთი მიმართულებით, შეიძლება ჩვენთან ზრდაზე აისახოს. გააჩნია, როგორ იმუშავებენ შესაბამისი სამსახურები, – აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თამაზ მეჭიაური.

კითხვაზე – თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა როგორ შეიძლება აისახოს საქართველოზე, მეჭიაური სხვის დაპირისპირებაზე სიხარულსა და აღტაცებას კარგ ტონად არ მიიჩნევს.

– სიხარული და აღტაცება სხვის დაპირისპირებაზე არ მგონია, კარგი ტონი იყოს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები ვართ და ჩვენ ყველა კონკრეტულ სიტუაციაში უნდა ამოვიდეთ ჩვენი ეროვნული ინტერესიდან. თუ რეალურად არის შანსი იმისა, რომ ამ მოცემულობაში საქართველომ სარგებელი მიიღოს, თუნდაც ეკონომიკური, რატომ უნდა ვთქვათ ამაზე უარი, მე ვერ ვიგებ. თავისთავად ცხადია, თუ იქ ხილის, ბოსტნეულის შეტანა და ა.შ. ემბარგოდან გამომდინარე შემცირდება, ცხადია, რომ დამატებითი სეგმენტი გაჩნდება, როცა შეიძლება ჩვენი შევიდეს იქ. ტურიზმიც ასევეა. რატომ უნდა ვთქვათ უარი ტურისტების შემოსვლაზე ჩვენს ქვეყანაში და სარგებლის მიღებაზე. თუ ამას ჭკვიანურად დაალაგებ, შეიძლება ამან პირიქით, ვალუტა შემოიტანოს და გაამყაროს. გზავნილები შეიძლება შემცირდეს, რადგან შესაძლოა, თურქეთში ან რუსეთში ეკონომიკა დაეცეს და აქედან გამომდინარე, გზავნილები შეგვიმცირდეს, მაგრამ შეიძლება აქეთ თვითონ შემოიტანონ. მე კი არ ვამბობ, რომ უნდა ვუჩხიკინოთ, რომ, რაც შეიძლება მეტად იჩხუბონ ერთმანეთში, მაგრამ ეს მოცემულობა არის და ამ მოცემულობაში გავაკეთოთ ის, რაც ჩვენთვის უკეთესია, წყნარად, მშვიდად. უნდა ვიცხოვროთ პრაგმატულად, ილუზიების გარეშე, – განაცხადა მეჭიაურმა. (ინტერპრესნიუსი)

**„ვოტ, კაკრაზ“ მანდა ვართ ჩვენც, თამაზ ბატონო — პრაგმატულად, ილუზიების გარეშე უნდა ვიცხოვროთ, მით უმეტეს, როცა საქმე ისეთ არასტაბილურ მეზობელს ეხება, როგორიც რუსეთია. რას ვგულისხმობთ და — დაარტყამს უცბად თავში, გამონახავს მიზეზს და ჩვენს ხილ-ბოსტნეულსაც უპრობლემოდ აკრძალავს. მე თქვენ გეტყვით, ისეთი მასშტაბების მეურნეობები გვაქვს, მთელ რუსეთს მოვამარაგებთ.**

**საერთოდაც, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მაზოხისტისა და კოლოს ურთიერთობას გვაგონებს — ზის გაყურსული მაზოხისტი, სანამ კოლო კბენს, მერე კი უცბად შეეცვლება გუნება და მიიჭყლეტს შუბლზე...**

**ტურიზმიც ახსენეთ და ვიღაც-ვიღაცების გონიერების იმედიც გაქვთ... ეეჰ, სამწუხაროდ, ცდებით, ჩემო ბატონო — საქართველოში არსებულ, პირდაპირ ვიტყვით, იდიოტურად მაღალ ფასებთან შედარებით თურქეთში დასვენება გაცილებით, ათჯერ და ასჯერ იაფი უჯდებათ რუსეთის მოქალაქეებს და თუ გგონიათ, პუტინის ან თვითმფრინავის ჩამოგდების გამო იქ ჩასვლაზე ვინმე უარს იტყვის და საქართველოს მოასკდება, საუბედუროდ, აქაც მცდარი მოლოდინები გაქვთ.**

**და ზოგადად, ლოდინის რეჟიმში რომ ვართ და სხვებს მივჩერებივართ პირდაღებულები, იმიტომ გვაქვს ამდენი პრობლემა და იმიტომ ვერ მივიწევთ წინ...**

# ეეჰ, ბატონო თამაზ, იმიტომ აქვს ჩვენს ქვეყანას საქმე კარგად, სხვებს რომ მივჩერებივართ პირდაღებულები





ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## რა მაგარია ეს არჩევნები, ყველაფერს გპატიობს ხელისუფლება



მთავრობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების, ტექნიკის სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით შეუსრულებელ ვალდებულებებზე ამნისტიის გამოცხადებასა და გადაუხდელი პირგასამტეხლოების პატიებას გეგმავს. ამასთან დაკავშირებით პროექტი პარლამენტში უკვე შევიდა. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების ავტორი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შემავალი სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოა. პარლამენტში ინიცირებული პროექტის მიხედვით, სახელმწიფო ქონების უზურფრუქტის უფლებით მიმღებ პირს ეპატიება სააგენტოსთვის ინფორმაციის წარდგენის ვადის დარღვევისთვის 2016 წლის 1-ელ იანვრამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლო...

როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, ე.წ. ამნისტიის აქტის განხორციელების შედეგად, შესაბამის პირებს, ჯამში, დაახლოებით 27 500 000 ლარის ფინანსური ვალდებულება ეპატიებათ. ამნისტიის აქტი, სულ მცირე, 8000-მდე პირს შეეხება.

მთავრობის განცხადებით, აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულ ფერმერთა საქმიანობის ხელშეწყობას და ვალდებულებების შესრულების ტვირთის მოხსნისა და გადავადების შედეგად, მათი საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესებას. (bpn.ge)

**ახლა ცუდად გამოგვივა, მაგრამ მხოლოდ იმის გამო, რომ არჩევნებზე ამომრჩევლის კეთილგანწყობა მოიპოვოს „ოცნებამ“, შეიძლება 27 მილიონზე უარის თქმა?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველოში ISIS-თან შესაძლო კავშირში მყოფი 4 პირის დაკავებით ამერიკული მედია ინტერესდება




მსოფლიოს წამყვანი მედიასაშუალებები საქართველოში ISIS-თან შესაძლო კავშირში მყოფი 4 პირის დაკავების ფაქტს აშუქებს.

New York Times-მა associated press-ის მიერ მომზადებული მასალა გამოაქვეყნა, სადაც საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის პირველი მოადგილის, ლევან იზორიას განცხადებაა მოყვანილი.

იზორია ISIS-თან შესაძლო კავშირში მყოფი 4 პირის დაკავების დეტალებზე ყვება.

სტატიაში აღნიშნულია, რომ დაკავებულები გურიის რეგიონიდან არიან, სადაც ბევრი მუსლიმანი ცხოვრობს. მათივე თქმით, აქამდე დაკავებების უმეტესობა უკავშირდებოდა პანკისის ხეობას, სადაც ეთნიკური ჩეჩნები ცხოვრობენ.

Wall Street Journal-მა კი საქართველოს შსს-ს მიერ გავრცელებული ვიდეომასალა ატვირთა.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „რუსები თურქებს „ადეკვატურად“ უპასუხებენ, ამიტომაც არ შეხვდა პუტინი ერდოღანს“



პოლიტოლოგი ჯუმბერ კირვალიძე მიიჩნევს, რომ რუსეთი თურქეთთან მიმართებაში მხოლოდ ეკონომიკური სანქციებით არ შემოიფარგლება, ვინაიდან პასიურობა მის პრესტიჟზე უარყოფით გავლენას მოახდენს:

– მიუხედავად იმისა, რომ ორიოდე დღის წინ თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა ყაზახეთის პრეზიდენტ ნაზარბაევს დაურეკა და სთხოვა, რომ მას ეშუამდგომლა რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრაზე, პარიზში „მსოფლიო კლიმატური ცვლილებების“ სამიტის ჩატარების დროს, რუსეთის მმართველებმა უარი განაცხადეს ყოველგვარ კონტაქტზე თურქეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან, რაც მოსალოდნელიც იყო.

საქმე ის გახლავთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი თურქეთის მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების სანაცვლოდ მხოლოდ ეკონომიკური სანქციებით შემოიფარგლება თურქეთთან მიმართებაში, მაშინ რუსეთის, როგორც სამხედრო თვალსაზრისით ზესახელმწიფოს პრესტიჟი ძალზე შეიბღალება, რასაც რუსეთი არ და ვერ დაუშვებს! ამიტომ უახლოეს მომავალში რუსეთისგან მოსალოდნელია ადეკვატური ქმედება, ანუ რუსები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ რომელიმე თურქულ სამხედრო თვითმფრინავს თავისი ეკიპაჟით „იგივე ბედი ეწიოს“, რაც რუსულმა განიცადა ამ ერთი კვირის წინ! ეს შეიძლება მოხდეს თურქეთ-სირიის საჰაერო საზღვარზე, ანდაც სადმე ხმელთაშუა ზღვის საჰაერო სივრცეებში.

ბრიუსელში გამართულ ევროკავშირ-თურქეთის ოფიციალურ სამიტზე, საყურადღებო გამოსვლა ჰქონდა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ ალექსის ციპრასს, რომელმაც განაცხადა: „მილიარდობით ევრო იხარჯება შეიარაღების თანამედროვე სისტემებზე (იგულისხმება, ნატოს მიერ. საბერძნეთიც და თურქეთიც ნატოს წევრები არიან, თუმცა თურქეთი მუდამ არღვევს საბერძნეთის საჰაერო და საზღვაო საზღვარს!) და თქვენ (თურქები) ამას იყენებთ იმისთვის, რომ დაარღვიოთ ჩვენი საზღვარი, ჩვენ (ბერძნები) კი ამას ვიყენებთ იმისთვის, რომ როგორმე შეგაჩეროთ თქვენ! საბედნიეროდ, ჩვენი პილოტები ისეთი ნერვიულები არ არიან, როგორიც თქვენი, რუსების წინაალმდეგ“! – აი, ასეთი ძალიან ნიშანდობლივი და მამხილებელი სიტყვა წარმოთქვა ციპრასმა, თითქოს ამით თურქებს მიანიშნა, თქვენ რუსები ბერძნები ხომ არ გგონიათ, არ შეგარჩენენ მაგ თავხედობას, რასაც ჩვენ ვითმენთო! ვფიქრობ, რომ ციპრასი არ ცდება და ასეც იქნება, უბრალოდ, რუსები საამისოდ შესაბამის დროს შეარჩევენ!.. (marshalpress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „თუ თბილისში ბინას არ შეიძენდა, ცოლად არ გაჰყვებოდა“ — ხაშურში მომხდარი თვითმკვლელობის დეტალები



ხაშურში მომხდარი სუიციდის ფაქტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია გახდა ცნობილი. როგორც 20 წლის ავთო დურგლიშვილის მეზობელი ყვება, ახალგაზრდამ თვითმკვლელობა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც მისმა შეყვარებულმა მოკლე ტექსტური შეტყობინებით აცნობა, რომ, თუ თბილისში ბინას არ შეიძენდა, ცოლად არ გაჰყვებოდა.

– ავთოს ბავშვობიდან ვიცნობ. სრულიად შემძრა მომხდარმა. ყველამ იცოდა, რომ მას 2 წლით დიდი შეყვარებული ჰყავდა. ისიც ხაშურელი გოგოა, ცოტა არეული ოჯახი აქვს, თუმცა რახან ავთოს ძალიან უყვარდა, ამაზე ყურადღებას არავინ ამახვილებდა. როგორც სამძიმარზე მისულებს გარდაცვლილის ბებია უყვებოდა, ავთო ბოლო დროს დადარდიანებული იყო, საკუთარ თავში ჩაიკეტაო. ათი დღის წინ ბებია და შვილიშვილი ერთ ოთახში ყოფილან, როცა ტელეფონზე ესემესი მიუღია. ბებიის ინფორმაციით, გოგოს ავთოსთვის ულტიმატუმი წაუყენებია, თბილისში ბინა იყიდე, მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოგყვები ცოლადო. ბიჭი გაღიზიანებულა, მეორე სართულზე ასულა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, რაც მისგან ხმა არ ისმოდა, ბებიამ ააკითხა და შემზარავ სურათს წააწყდა, ავთოს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ჰქონდა, – ამბობს გარდაცვლილის მეგობარი.

მისივე თქმით, ავთო ბებიასთან ერთად იზრდებოდა, მშობლები მაშინ გაშორდნენ, როცა ის ძალიან პატარა იყო. მამას მეორე ოჯახი ჰყავს და შვილთან არ კონტაქტობდა, დედა კი წლებია, თურქეთში მუშაობს.

– ძალიან რთული ბავშვობა გამოიარა, დედ-მამა გაშორებული არიან, მამას ცალკე ოჯახი ჰყავს, დედა თურქეთში მუშაობს. შვილის გარდაცვალების შესახებ მან საქართველოში გაიგო, რადგან მოტყუებით ჩამოიყვანეს. უთხრეს, რომ ავთო ავარიაში მოყვა და მძიმე მდგომარეობაში იყო. მამას რაც შეეხება, სანამ მე სამძიმრეზე დავდიოდი, ის კაცი იქ არ მინახავს, თუმცა დაზუსტებით ვერ ვიტყვი, რომ შვილის გასვენებაში არ ჩამოსულა, – ამბობს რესპონდენტი.

დურგლიშვილის მეზობლის ინფორმაციით, გარდაცვლილს ფსიქიკური პრობლემები აღენიშნებოდა.

– ავთოს წესი ტაძარში აუგეს, ამბობენ, რომ მამაომ ეს მას შემდეგ გააკეთა, რაც შეიტყო, რომ გარდაცვლილს ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა. აქვე გეტყვით, რომ მისი ფსიქიკური პრობლემა მკვეთრად გამოხატული არ იყო, უცნაურად კი იქცეოდა, თუმცა არავის ერჩოდა. ე.წ. ქუჩის ბიჭი არ იყო, იშვიათად თუ დაინახავდი ბირჟაზე, ხშირად ვხვდებოდით ტაძარში, ძალიან მორიდებული და მშვიდი მახსოვს. როგორც ახლობლები ამბობენ, ბიჭს სწავლის გაგრძელება დედაქალაქში ნამდვილად უნდოდა, თუმცა ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარება ვერ შეძლო და ამას ძალიან განიცდიდა, – ყვება რესპონდენტი.

შეგახსენებთ, რომ ტრაგედია ხაშურში 10 დღის წინ მოხდა. (ნიუპოსტი)

## „ოცნებამ“ „ალიას“ რჩევები გაითვალისწინა — მთავრობა 3-წლიანი მუშაობის შედეგებს გაარეკლამებს — რა თანხა ერგება ბეჭდურ მედიას?!

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



**„საქართველოს მთავრობის 3-წლიანი მუშაობის შეჯამების ამსახველი ანგარიშის საინფორმაციო კამპანიასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას გამოუყო 611 500 (ექვსას თერთმეტი ათას ხუთასი) ლარი“, — ნათქვამია მთავრობის დადგენილებაში.** (businesscontact.net)

როგორც იქნა, შეისმინა „ოცნებამ“ „ალიას“ რჩევა, რომ, თუკი მართლა აქვს რამე გაკეთებული, გაპიარება და გარეკლამა სჭირდება ყველაფერს.

**ჰოდა, ა, ბატონო, დაიძრა ყინული და მიხვდნენ, რომ უფასო მხოლოდ ყველია სათაგურში.**

**აქამდე, ჩემო ბატონო, ბევრად გაპიარებული ჭოპორტის პომიდორი და ახალციხის კარტოფილი უფრო იყო, ვიდრე მთავრობის „საქმენი საგმირონია“. პრემიერიც ხშირად საყვედურობდა მედიას, რატომ არ აშუქებთ, რასაც ვაკეთებთო. ჩვენც ვპასუხობდით, რომ მედიის საქმე პრობლემებზე წერაა, ხოლო, თუ ვინმეს რაიმე მიღწევის გაპიარება უნდა, რეკლამის სახით უნდა მოეტანა.**

**რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ეს არ ყოფილა მხოლოდ „ალიას“ მოწოდება, უამრავი საერთაშორისო ექსპერტიც ხშირად ურჩევდა „ქართულ ოცნებას“, რომ პიარკამპანიები საჭირო და აუცილებელია.**

რა სახით წარიმართება აღნიშნული კამპანია? არის თუ არა უკვე გარკვეული, რომელ მედიასაშუალებებში რა რაოდენობის რეკლამა განთავსდება და საერთოდ, მთავრობის სამწლიანი მუშაობის ანგარიშში რა საკითხებზე იქნება საუბარი?

**„ალიას“ პრემიერის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, მაკო ბიგვავა** ესაუბრა:

**— რა სახით უნდა წარიმართოს ეს საინფორმაციო კამპანია? როგორ უნდა გადანაწილდეს სარეკლამო თანხები ტელევიზიასა და პრესაზე?**

– ამ მომენტისთვის ზუსტად ვერ გეტყვით, რა როგორ გადანაწილდება, რადგან ვმუშაობთ ამ თემაზე, თუმცა, როცა ბიუჯეტი მოვითხოვეთ, დაახლოებით უკვე ვიცოდით, რა მასშტაბის კამპანია გვჭირდებოდა. ბუნებრივია, მაქსიმალურად ვცდილობთ, ყველა არხი მოვიცვათ და ზოგადად, ვცდილობთ, ყველა მედიასაშუალებაზე გავიდეთ, იქნება ეს ტელევიზია, ბეჭდური მედია, რადიო თუ ინტერნეტი.

**— პრიორიტეტი ტელევიზიებზე ხომ არ გაკეთდება?**

– არა. თუ თქვენ თანხობრივ პრიორიტეტზე მეკითხებით, ანუ სად უფრო მეტი ფული მიდის, ტელევიზია, უბრალოდ, უფრო ძვირი პროდუქტია, სატელევიზიო რეკლამა უფრო ძვირი ღირს, ეს ყველამ ვიცით. არ აქვს მნიშვნელობა, რეკლამას მთავრობა მიიტანს, თუ რომელიმე კერძო სექტორი.

**— კონკრეტულად პრესასთან როგორი სახის ურთიერთობები გექნებათ? მთავრობის 3-წლიანი მუშაობის ამსახველი ანგარიშის გარეკლამება მხოლოდ ერთი ეტაპია, თუ მსგავსი ანგარიშების გაპიარებას მომავალში უფრო ხშირად გეგმავთ?**

– მგონია, რომ მსგავსი კამპანია სამთავრობო სტრუქტურებმაც უნდა გააკეთონ, მხოლოდ ის კი არა, რომ ჩვენ, მთავრობა, ყოველდღიურ რეჟიმში ვმუშაობთ და ინფორმაციას გავცემთ ჩვენი საქმიანობის შესახებ. იცით ჩვენი მიდგომაც, რომ ამ თვალსაზრისით ძალიან ეკონომიურები ვართ, მაქსიმალურად ვცდილობთ, რეკლამის ხარჯი მცირე იყოს, თუმცა ამ შემთხვევაში, მთავრობის ადმინისტრაცია აკეთებს კამპანიას და რახან 19-ივე სამინისტრო კონსოლიდირებულია საქმიანობაში, შინაარსში, ყველაფერს გვინდა შევეხოთ და არა მხოლოდ მთავრობისა და საკუთრივ პრემიერის ადმინისტრაციას. ვფიქრობ, მომავალ წელს აუცილებლად უნდა დავიწყოთ მსგავსი კამპანიების კეთება, ვნახოთ, ბიუჯეტი რის საშუალებას მოგვცემს.

**— მედიასაშუალებებთან თანამშრომლობას ფორმალურად რა ხასიათი ექნება? ეს ხელშეკრულებების დადებით მოხდება?**

– ეს უკვე შესყიდვის ტექნიკური დეტალებია, რომლებსაც, სავარაუდოდ, როცა ამოცანებს გავწერთ, თუ რისი მიღწევა გვინდა, დანარჩენზე, ალბათ, შესყიდვების სამსახური იმუშავებს. ჰო, ალბათ, ხელშეკრულებები გაფორმდება მედიასთან, რომ პროცესი ღიად, გამჭვირვალედ, იურიდიულად გამართულად წარიმართოს.

**— რატომ გაჩნდა მთავრობაში ამ სარეკლამო კამპანიის ახლა დაწყების საჭიროება? სამი წელი ცოტა დრო არ არის და თუ მთავრობას რამე გაუკეთებია, აქამდეც რომ გეთქვათ ამის შესახებ თუნდაც რეკლამებიდან, არ იქნებოდა ურიგო...**

– ჩვენ შარშანაც გავაკეთეთ მსგავსი კამპანია...

**— თუმცა შარშან ის ასეთი მასშტაბური ხასიათის არ იყო და მოსახლეობამ ბევრი ვერაფერი შეიტყო მთავრობის საქმიანობის ირგვლივ.**

– დიახ, ეს შედარებით მასშტაბურია, თუმცა გავიმეორებ, შარშანაც გვქონდა მსგავსი კამპანია, რომ საზოგადოებამდე ჩვენი გზავნილები მიგვეტანა და ფინანსურად რისი საშუალებაც გვქონდა, მაშინ იმის ფარგლებში გავაკეთეთ. ჩვენი სურვილი რომ იყოს, კიდევ უფრო მასშტაბურადაც გავაკეთებდით ამ ყველაფერს, თუმცა აქ სურვილზე არ არის საქმე. იმ ბიუჯეტის პირობებში, რაც, დავუშვათ, შარშან გვქონდა, ის გაკეთდა, რაც გაკეთდა. იმის თქმა მინდა, რომ ეს კამპანია პირველი არ არის და რა თქმა უნდა, ფორმატები იცვლება ხოლმე.

**— ამ საინფორმაციო კამპანიის დაწყება მთავრობის რომელიმე წევრის ინიციატივა იყო, თუ მთავრობა ერთად შეჯერდა ამ საკითხზე? ანუ როგორ მოხდა ამ გადაწყვეტილების მიღება?**

– არა, ეს არ არის კონკრეტული ინიციატივა. როცა რაიმე პროექტი ხორციელდება, მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პრესცენტრის მიმართულება მაშინვე ფიქრობს ამ პროექტის შესახებ, როგორ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას. რიგ შემთხვევაში, ეს არის ჩვეულებრივი, ყოველდღიური მუშაობა, კონკრეტული ღონისძიება და ინფორმაციის გაშვება, რიგ შემთხვევაში კი ეს არის კამპანიის ფორმით. შარშან თუ ორწლიანი გავაკეთეთ, წელს უკვე სამწლიანი მუშაობის ამსახველ ანგარიშზე გვაქვს საუბარი. ანუ ეს კამპანია არ ყოფილა, ვთქვათ, რომელიმე ერთი მინისტრის ინიციატივა.

**— ეს საინფორმაციო ანგარიში მთავრობის მუშაობის ყველა მიმართულებას შეეხება?**

– მაქსიმალურად ყველა მიმართულებას შეეხება, რადგან სირთულე სწორედ ამაშია – იმდენი რაღაც არის ჩამონათვალში და იმდენი დეტალია, შეუძლებელია, ყველა მიმართულებით მუშაობის დეტალურად წარმოდგენა. სამწუხაროდ, ანგარიში ყველაფერს ვერ გამოიტანს, თუმცა ვცდილობთ, ათეულობით და ასეულობით გაკეთებული პოზიტიური საქმიდან რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანი თემა ამოვარჩიოთ, რადგან ეს კამპანიაც ფული ღირს და ზოგავ თანხას, თან ცდილობ, საზოგადოებას მთავარი გზავნილები მაქსიმალურად მიაწოდო. შემდეგ ვისაც დააინტერესებს, რა თქმა უნდა, მათ დარგების მიხედვით მიაწვდიან დეტალებს.

**— აღნიშნულ ანგარიშში მხოლოდ მთავრობის მიერ გაკეთებულ პოზიტიურ საქმეებზე იქნება საუბარი, თუ ისიც გამოქვეყნდება, რომელ საქმეზე რა რაოდენობის თანხა დაიხარჯა? ანუ ერთგვარი ფინანსური ანგარიშიც იქნება წარმოდგენილი?**

– ალბათ, ბიუჯეტებსაც შევეხებით, რადგან, სიტყვაზე, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ სოფლის მეურნეობაში ჩაიდო რამდენიმე მილიონი, ანუ აღვწერთ რაღაც პროექტებს, ჩვენ ვამბობთ იმასაც, რა მასშტაბის არის, მაგალითად, საგაზაფხულო პროგრამა და მასშტაბის საჩვენებლად ვამბობთ, რომ, ვთქვათ, 800 ათას ფერმერს გავუწიეთ დახმარება, ვამბობთ, რამდენი ასეული მილიონი დაჯდა ეს პროგრამა და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს კამპანია ბიუჯეტის ანგარიში არ იქნება, მაგრამ რაღაც ციფრები გაჟღერდება.





ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რიმა ბერაძე: ჩემს წინააღმდეგ მიზანმიმართული, ცილისმწამებლური კამპანია მიმდინარეობს



თბილისის საკრებულოს დეპუტატი, რიმა ბერაძე მედიაში გავრცელებულ მის განცხადებას, იმის შესახებ, რომ ადამიანის გამოკვებისთვის დღეში 1 ლარი და 18 თეთრი საკმარისია, განმარტავს, რომ ამის შესახებ მან სოციალურად დაუცველი პირების კვების შესახებ ინტერვიუ „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტს მისცა, შემდგომ კი მისი განცხადება ჟურნალისტმა დაამახინჯა და მედიაში კონტექსტიდან ამოვარდნილი განცხადება გავრცელდა.

„მიზანმიმართული, ცილისმწამებლური კამპანია დაიწყო 27 ნოემბერს და, ჩემდა სამწუხაროდ, შემდგომ დღეებშიც გაგრძელდა... კამპანიამ მიიღო ისეთი ხასიათი, რომ თითქოს ჟურნალისტთან საუბარში განვაცხადე, რომ 1 ლარი და 18 თეთრი ადამიანის დღიური კვებისთვის საკმარისი იყო. შემდეგ ზოგიერთმა ტელეკომპანიამაც აიტაცა ეს კონტექსტიდან ამოვარდნილი ფრაზა. ეს იყო სიცრუე, ეს იყო დეზინფორმაცია და ეს იყო კონტექსტიდან ამოგლეჯილი სიტყვები. საბედნიეროდ, მე მაქვს ჩემი საუბრის აუდიოჩანაწერი... ინტერვიუში ვსაუბრობდი სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა ერთჯერადი კვების, 1100 კ კალორია შემდგარი კვების მენიუს შესახებ, რომელიც ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ განსაზღვრა". – განაცხადა ბერაძემ. (რეპორტიორი)

## „კანონპროექტი, რომელიც „სითი პარკს" ფრთებს შეკვეცს!!!"



„პარლამენტში დარეგისტრირდა ჩემი და როინ მიგრიაულის ახალი კანონპროექტი „სითი პარკზე"! კანონპროექტის მიხედვით, სატრანსპორტო საშუალების გადაყვანა სპეციალურ ავტოსადგომზე შესაძლებელი იქნება მხოლოდ ორ შემთხვევაში: თუ სატრანსპორტო საშუალება აფერხებს საავტომობილო მოძრაობას, ან ქმნის საცობს. კანონში კონკრეტდება, რომ საავტომობილო მოძრაობის და არა ფეხითმოსიარულეთა შეფერხების შემთხვევაში ხდება ავტომობილის საჯარიმოზე გადაყვანა. კანონიდან ხდება მესამე შემთხვევის: „თუ ქმნის საავარიო სიტუაციას" ამოღება, რომლის შემთხვევაშიც „სითი პარკს" ჰქონდა სატრანსპორტო საშუალების ევაკუირების შესაძლებლობა.

კანონიდან ხდება ჩანაწერის: „სატრანსპორტო საშუალებას ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია", ან „დგომა აკრძალულია" მოქმედების ადგილიდან სპეციალურ დაცულ ავტოსადგომზე გადაყვანა, იმ შემთხვევაში, თუ გადაყვანის შესახებ მინიშნება ახლავს ამკრძალავ ნიშანს „ამოღება". კანონს ემატება ჩანაწერი: „დაუშვებელია სპეციალურ დაცულ სადგომზე იმ ავტომანქანის გადაყვანა, რომელიც არღვევს ამკრძალავი ნიშნის „დგომა-გაჩერება აკრძალულია", ან „დგომა აკრძალულია" მოთხოვნას, მაგრამ არ აფერხებს საავტომობილო მოძრაობას ან არ ქმნის საცობს". – წერს საკუთარ „ფეისბუკ"-გვერდზე „დემოგრაფიული განვითარების ფონდის" დირექტორი ზვიად ტომარაძე. (postalioni.ge)

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



*„ალიას" წყაროს ინფორმაციით, 2016 წლის ადრიან გაზაფხულზე მინისტრთა კაბინეტში ცვლილებებს უნდა ველოდოთ, ასევე დიპლომატიურ კორპუსში მოხდება რამდენიმე ცვლილება. „ალია" ჯერ კიდევ აგვისტოში წერდა, რომ დიდ ბრიტანეთში საქართველოს ელჩი რევაზ გაჩეჩილაძე, რომელიც აღმოსავლეთმცოდნეა, ვადაზე ადრე განთავისუფლდებოდა ელჩის თანამდებობიდან. საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა უკვე დაადასტურა, რომ გაჩეჩილაძეს ის ჩაანაცვლებს. თურქულმა ინტერნეტგამოცემამ, რომელიც თურქეთში არსებული სხვადასხვა ქვეყნის საელჩოების საქმიანობას აშუქებდა, 2014 წელს ირაკლი კოპლატაძე ყველაზე ელეგანტურ ელჩად დაასახელა, მაგრამ საქართველოს მთავრობა თვლის, რომ რუსეთ-თურქეთის დაძაბული ურთიერთობის ფონზე საჭიროა უფრო ძლიერი დიპლომატის მოძებნა, რომელსაც მეტი გავლენები და მეტი წვდომა ექნება თურქეთის ხელისუფლებასთან. ასეთი კი, ვინც მსგავს გამოწვევებს გაუმკლავდება, არის გიორგი ჯანჯღავა. ის გახლავთ საკმაოდ კვალიფიციური დიპლომატი, ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, 2013 წელს იგი თურქეთის რესპუბლიკაში მუშაობდა კონსულად და რაც მთავარია, აქვს გავლენიან ხალხთან კონტაქტები. დღეს ის საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია საუდის არაბეთში.*

**„ალიას" კითხვებს პასუხობს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე...**

**— ჩვენი ინფორმაციით, დიპლომატიურ კორპუსში ხელისუფლებამ საკადრო ცვლილებების გატარება დაიწყო, ჯერ კიდევ ზაფხულში „ალია" წერდა, რომ დიდი ბრიტანეთის ელჩი გაჩეჩილაძე პოსტს დატოვებდა. რას უკავშირებთ ამ ცვლილებებს?**

– მართლაც რომ დიდი მეცნიერია რევაზ გაჩეჩილაძე, მაგრამ ის გახლავთ აღმოსავლეთმცოდნე, მე ვფიქრობ, რომ საქართველოს აღმოსავლეთ ქვეყნებში სჭირდება განსაკუთრებულად კრეატიული ელჩები. ჩემი აზრით, რევაზ გაჩეჩილაძე ამ მიმართულებით იქნება გამოყენებული ევროპის წამყვან ქვეყნებში. აღმოსავლეთი გახდა პრიორიტეტული მიმართულება. აქედან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ, რომ აღმოსავლეთის მიმართულებით მოხდეს საკადრო ცვლილებების გატარება დიპლომატიურ კორპუსში. ასევე, ვვარაუდობ, არ არის გამორიცხული, ელჩი შეიცვალოს თურქეთში, რადგან იქ ძალიან რთული და მძიმე ვითარებაა, იმას კი არ ვამბობ, რომ საქართველოს ელჩმა ირაკლი კოპლატაძემ გამოწვევებს თავი ვერ გაართვა, არამედ დღის წესრიგში დადგა ახალი გამოწვევები და სრულიად ახალი პიროვნებაა საჭირო, რომელიც სიტუაციას უცებ აუღებს ალღოს, გარდა ამისა, საჭიროა პიროვნება, რომელიც პოლიტიკურ თურქულ ისტებლიშმენტს კარგად იცნობს. რამდენადაც ვიცი, საქართველოს ხელისუფლებაში თვლიან, რომ ასეთი პიროვნება აუცილებლად უნდა გამოინახოს და თურქეთში ელჩად დაინიშნოს. ყოველ შემთხვევაში დადასტურებულად გეტყვით, რომ ამაზე ფიქრი მიმდინარეობს...

**— ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ საუდის არაბეთში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი გიორგი ჯანჯღავა დაინიშნება თურქეთში ელჩად.**

– დიახ, ამის შესახებ მეც მსმენია, ის წლების მანძილზე მუშაობდა თურქეთში კონსულად, ასეთი მაღალი კვალიფიკაციის ელჩი პრინციპში აღმოსავლეთის მიმართულებით არ გვყავს, მარტო აღმოსავლეთში კი არა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბევრგან არ გვყავს ჯანჯღავასნაირი ელჩი. ასევე, იყო საუბრები, რომ აშშ-ში საქართველოს ელჩი არჩილ გეგეშიძე ვადაზე ადრე დატოვებდა პოსტს და მას სხვა კანდიდატურით ჩაანაცვლებდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, დღეს ამის საჭიროება არ დგას, რადგან ამ მიმართულებით საუბრები შეწყდა.

**— ასევე, მოსალოდნელია აღმასრულებელ ხელისუფლებაში კარუსელის დატრიალება, არჩევნების წინ, როგორც წესი, ახალი სისხლის გადასხმა მიღებულია, როგორც პოლიტიკური ტექნოლოგია, რა ცვლილებებს ელოდებით?**

**— გარდაუვალია ცვლილებები აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ჩემი ვარაუდით, ეს მოხდება 2016 წლის თებერვლის ბოლოს, როცა საარჩევნო მანქანა სრული მასშტაბით ჩაირთვება. ჩვენ ვნახავთ რამდენიმე საკადრო ცვლილებას, პოსტებს დატოვებენ: ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე, კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, ეს უკანასკნელი აუდიტის სამსახურის დასკვნას შეეწირება. რაც შეეხება განათლების მინისტრს, ამ სფეროში ჩავარდნაა, ნოდარ ხადურზე აღარაფერს ვლაპარაკობ. არის მოლოდინი, რომ შერიგების მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი დატოვებს პოსტს, რადგან მის მიმართ გაღიზიანების ხარისხი არის მაღალი, მაგრამ ეს თემა არ გააქტიურდება, ვინაიდან ის გახლავთ „რესპუბლიკური პარტიის" კრეატურა. აქედან გამომდინარე, ხმები იმის შესახებ, რომ პაატა ზაქარეიშვილი პოსტს დატოვებს, არ გამართლდება.**

**— პაატა ზაქარეიშვილის ყოველი გამოსვლა ბადებს ეჭვებს, ხომ არ თამაშობს ის რუსეთის თამაშს. მინისტრი აცხადებს, აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არასდროს ყოფილაო, რას ჰგავს ეს?**

– ჩვენ იძულებული ვართ, ავხსნათ ზაქარეიშვილის განცხადებები, პირად საუბარში მის მეგობრებს ხშირად მიუნიშნებიათ, რომ, სამწუხაროდ, მისი ნათქვამი მინისტრის პოსტიდან ჰგავს არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელის ნათქვამს... მე მგონია, პაატამ იგულისხმა შემდეგი: 1992 წლის შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა, ერთად ცხოვრების გამოცდილება არ გვაქვს, მაგრამ ის არის მინისტრი და მისი მხრიდან ასეთი ტიპის განცხადებები არ უნდა კეთდებოდეს. პირადად არც ვმალავ, რომ მისი ნათქვამი არ მომეწონა. მაგალითად ის, რომ ზაქარეიშვილი აცხადებს, – რა იყო დავით აღმაშენებლის დროს, ეს მე არ ვიცი... რას ნიშნავს, „არ იცი", სწორედაც უნდა იცოდე, მის დროს რა და როგორ იყო... ასე რომ, მის მიერ გამოყენებული ფრაზა, რბილად რომ ვთქვათ, არის მოუფიქრებელი, რაც, ბუნებრივია, მინისტრს არ შეშვენის.

**იცით, საქმე რა არის? ჩვენს მინისტრებს ძალიან მაღალი კრიტერიუმებით ვუდგებით, მე მაინტერესებს, რა შედეგებს დებს ესა თუ ის მინისტრი და რა საქმეს აკეთებს. რას ლაპარაკობს, ეს ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი არ არის. მაგალითად, თურქეთში ძალიან მაღალი თანამდებობის პირი გამოდის და აცხადებს, — დროა, მსოფლიომ ცნოს ისლამური ხალიფატი... ეს იცით, რისი ტოლფასი იყო?.. მთელი კოალიციისთვის თავზე რომ დაემხოთ ნაგვის ურნა, მაგრამ ეს პიროვნება დღესაც თანამდებობაზეა.**

ასე რომ, მინისტრის განცხადების გამო მათი აქეთ-იქით სროლა, სწორი არ იქნება... კონიუნქტურის გამო, მინისტრები არ უნდა ცვალო და საზოგადოებაში ქულები არ უნდა დაიწერო. თუ ის საქმეს არ აკეთებს, მაშინ უნდა შეცვალო. ამას საზოგადოება უფრო სწორად გაიგებს...



# მინისტრები: ნოდარ ხადური, თამარ სანიკიძე, მიხეილ გიორგაძე პოსტებს დაემშვიდობებიან

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რუსეთში დედამ ორი შვილი მერვე სართულიდან გადააგდო და თავი მოიკლა



რუსეთის ქალაქ ირკუტსკში დედამ ორი მცირეწლოვანი შვილი მერვე სართულიდან გადააგდო და შემდეგ თავადაც გადახტა. ქალი ადგილზე გარდაიცვალა, ორი წლის ბიჭი იმავე დღეს საავადმყოფოში, ხოლო უფროსი – ოთხი წლის ბიჭი რეანიმაციაში მომდევნო დღეს გარდაიცვალა. რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა. გამოძიების ინფორმაციით, ოჯახში კონფლიქტი არ ყოფილა, ოჯახის წევრები პოლიციაში აღრიცხვაზე არ დაფიქსირებულან. ბავშვების დედა რამდენიმე დღის წინ საავადმყოფოდან გამოეწერა, სადაც უმცროს შვილთან ერთად იმყოფებოდა. (kvira.ge)

## „გამორიცხული არ არის, რუსეთმა თურქეთის საწინააღმდეგოდ გაზსადენებზე დივერსიული აქტები დაგეგმოს"



პოლიტოლოგ ხათუნა ლაგაზიძის განცხადებით, საქართველომ ნავთობსადენებსა და გაზსადენებზე დაცვა უნდა გააძლიეროს, რადგან რუსეთმა შესაძლოა, თურქეთის წინააღმდეგ, დივერსიული აქტები განახორციელოს.

როგორც ლაგაზიძემ აღნიშნა: „საქართველოს ხელისუფლებამ აუცილებელია, განსაკუთრებით გააძლიეროს ნავთობსადენებისა და გაზსადენების დაცვა, გამომდინარე იქიდან, რომ არ არის გამორიცხული, რუსეთმა თურქეთის საწინააღმდეგოდ, ერთგვარი დივერსიული აქტები დაგეგმოს, თურქეთის ენერგეტიკული და სატრანზიტო პოტენციალის მოშლის მიზნით. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფრთხე, რომლის პრევენციისთვისაც, საქართველოს ხელისუფლება ძალიან აქტიურად უნდა იყოს ჩართული თურქეთისა და ნატო-ს წევრი სახელმწიფოების ხელისუფლებასთან", – განაცხადა ლაგაზიძემ.

მისი განმარტებით, რუსეთმა შესაძლოა, გარკვეული თვალსაზრისით საქართველოდან „ისლამურ სახელმწიფოში" მყოფი ადამიანები და მათი ქმედებები საქართველოს სადამსჯელო ოპერაციებისთვის გამოიყენოს.

„როგორც ჩანს, ეს პრევენციული ღონისძიებები, რასაც დღეს საქართველოს უსაფრთხოების სამსახურები ახორციელებენ, მიმართულია იმისკენ, რომ დააკავონ ის ადამიანები, ვისაც, სავარაუდოდ, მონაწილეობა აქვთ მიღებული საქართველოდან „ისლამური სახელმწიფოსთვის" კადრების მიწოდებაში. არაერთი ადამიანი შეუერთდა საქართველოდან „ისლამური სახელმწიფოს" რიგებს, რაც ორმაგად საშიშია ჩვენი ქვეყნისთვის. ეს ადამიანები დაბრუნების შემთხვევაში ტერორისტული აქტივობის ძალიან მაღალ რისკს შეიცავენ. მეორე მხრივ, ისინი ინარჩუნებენ კავშირებს ოჯახის წევრებთან და იმ გარემოსთან, სადაც ისინი წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ. ანუ, რეალურად, ისინი ისლამური ფუნდამენტალიზმის იდეის გამავრცელებლებად შეიძლება მოგვევლინონ, უკვე საქართველოში დარჩენილი მოქალაქეებისთვის. მესამე, რუსეთმა შეიძლება ეს ფაქტი საქართველოს სადამსჯელო ოპერაციისთვის გამოიყენოს. ასე რომ, ეს მრავალმხრივ საფრთხეს შეიცავს და საქართველოს ხელისუფლების ნაბიჯები, გამართლებულია", – აღნიშნა ლაგაზიძემ. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## 30 წლის რუსი დეპუტატი ქმარმა ეჭვიანობის ნიადაგზე ააფეთქა



30 წლის ოქსანა ბობროვსკაია, რომელიც დუმაში ნოვოსიბირსკის ოლქს წარმოადგენდა, ნოვოსიბირსკში „ტოიოტას“ მარკის მანქანაში ქმართან სექსის დროს აფეთქდა.

გავრცელებული ინფორმაციით, მანქანაში ასაფეთქებელი მოწყობილობა დეპუტატის ქმარმა აამოქმედა.

მეუღლე ოქსანას მდიდარ საყვარელთან ღალატში ადანაშაულებდა. თვითმხილველის განცხადებით, როდესაც გარდაცვლილების სხეულები მანქანიდან გადმოიყვანეს, ორივენი ნახევრად შიშვლები იყვნენ და აფეთქების შედეგად სახე ძლიერად ჰქონდათ დასახიჩრებული. (exclusivenews.ge)

## ამერიკის სამხედრო დაზვერვის ყოფილი უფროსი „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნაში ამერიკას ადანაშაულებს



ამერიკის საჯარო დაზვერვის ყოფილი უფროსი მაიკლ ფლინი ჟურნალ „დერ შპიგელთან“ ინტერვიუში „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნის მიზეზებზე საუბრობს.

– ძალიან ვწუხვარ, რომ ამერიკა ერაყში შეიჭრა. ეს დიდი შეცდომა იყო. რამდენად სასტიკიც არ უნდა ყოფილიყო სადამ ჰუსეინი, მისი ლიკვიდაციის გადაწყვეტილება არასწორი იყო. იგივე ეხება კადაფსა და ლიბიას, რომელიც ახლა შეუმდგარი სახელმწიფოა. უმნიშვნელოვანესი ისტორიული გაკვეთილი არის ის, რომ სტრატეგიული კუთხით ერაყში შეჭრა ძალიან ცუდი გადაწყვეტილება იყო, – აღნიშნავს ყოფილი სამხედრო.

აგრეთვე, ფლინმა ხაზი გაუსვა, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ დამარცხება მხოლოდ ავიაციით შეუძლებელია და დასავლეთს რუსეთთან თანამშრომლობისკენ მოუწოდა.

– მწარე სიმართლე ისაა, რომ საჭიროა „ისლამური სახელმწიფო“ თავისი ტერიტორიიდან გავდევნოთ. რასაკვირველია, ამას დიდი დრო დასჭირდება. მაგრამ უნდა მოვძებნოთ და გავანადგუროთ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, მისი ქსელი, შევაჩეროთ დაფინანსება და იქამდე დავრჩეთ რეგიონში, სანამ სტაბილურობა არ აღდგება.

ამასთანავე, კონსტრუქციულად უნდა ვითანამშრომლოთ მოსკოვთან. რუსეთმა გადაწყვიტა, საომარი მოქმედებები გაეტარებინა სირიაში და ამან საბოლოოდ შეცვალა სიტუაცია. დასავლეთს აღარ შეუძლია იმის თქმა, რომ რუსეთი ბოროტებაა, რომელიც უნდა წავიდეს, – აცხადებს ფლინი. (ambebi.ge)

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



ჟურნალისტი ნინი აბრამიშვილი სოციალურ ქსელში ამაღელვებელ ამბავს აქვეყნებს, რომელიც გამთენიისას თავად გადახდა სამსახურში მიმავალს.

– გული მაქვს მკვდარიი..! დილის 7 საათია, სანამ სამსახურში წავიდოდი, საქმე მქონდა. მაკდონალდსში ყავა დავლიე. იქვე გარეთ შავებში ჩაცმული 40 წლამდე ქალბატონი იჯდა, ჩემი ყურადღება თავიდანვე მიიქცია. გამოვდივარ ყავით ხელში, არსად არ მეჩქარებოდა. ნელ-ნელა მოვდიოდი, დილის თბილისი რაღაც წყნარი და განსაკუთრებულია. გარშემო არავინ არ იყო, მაჩერებს ეს ქალი, ხელი საფულისკენ წავიღე, მესმის ხმა, – „ფული არ მინდა“. ცოტა შევშინდი. მთხოვა, რომ მის გვერდით დავმჯდარიყავი. დავჯექი. დაახლოებით 5 წუთი ხმას არ იღებს. მე უფრო შევშინდი. ვთხოვე, რომ რაც უნდოდა, ეთქვა, თუ არა და წავიდოდი. ტირილი დაიწყო. არ ვიცოდი, როგორ დამეწყნარებინა, ძალიან დავიბენი. მთხოვა, რომ დიდი ხანია მას ყავის გემო აღარ ახსოვს და განსაკუთრებულად მოუნდა. წამებში ორ რამეზე დავფიქრდი: 1) მის გვერდით, ხელებგაყინულ ადამიანთან, რომელმაც ოჯახში ბავშვები მშიერი არ უნდა მოკლას, ცხელ ყავის ჭიქაზე ხელებს ასე უნამუსოდ ვითბობდი და წამი არ მიფიქრია, რომ მას უნდოდა. 2) გამახსენდა პატრიარქის სიტყვები, რომ გარეთ მყოფ ხელგამოწვდილ ადამიანებს ფულით არა, საკვებით დავეხმაროთ, რადგან არავინ არ იცის, ის ფულს რაში გამოიყენებს, ან გამოაყენებინებენ. წამიერად ავდექი, შევბრუნდი უკან, მოვუტანე ყველაფერი, რომ არც სულიერი და არც ფიზიკური სიცივე არ ეგრძნო. მუხლებთან დამიჩოქა. აი, აქ უკვე არაადამიანურად ავტირდი და გამახსენდა ჩვენი მჭევრმეტყველი დეპუტატები, რომლებსაც ენა გადმოუგდიათ, რომ თურმე 1,18-ად უნდა ვიკვებოთ.

წამოვედი, წამოვედი იმიტომ, რომ გულმა ვერ გაუძლო. მითხრა, რომ მარჯანიშვილის მეტროსთან ხშირად დგას. შევპირდი, რომ ხშირად მივიდოდი და აუცილებლად მივალ. გზაში მოვდივარ და ვფიქრობ, ადამიანები ხანდახან იმაზე ვწუწუნებთ, რომ დღის ბოლოს ცეზარი, პიცა ან რამე წელვადი „სვეცკობა“ არ ვჭამეთ და ძალიან, ძალიან შემრცხვა... მაპატიეთ, ვისაც დილა ამის კითხვაში დაგაწყებინეთ, სხვანაირად არ შემეძლო. ადამიანმა გარეთ ფული კი არა, ყავა მომთხოვა, აი, ეგ ქვეყანა ვართ ჩვენ! – წერს ნინი აბრამიშვილი „ფეისბუკის“ გვერდზე. (ნიუპოსტი)

# უცბად ხელი მკრა, ყვირილი დაიწყო და დიდხანს გაჰყვიროდა: „ჩამეხუთა, ხალხო, ჩამეხუთა“...





**ამის დამნახავ მიმტანს ხელიდან ლანგარი გაუვარდა, ცოლიც და შვილიც თვალებგაფართოებული მოგვშტერებოდა თბილი შენობიდან...**

**ამ ამბავმა ერთი ისტორია გამახსენა, რომელიც კარგა ხნის წინ გადამხდა თავს და რადგან ძველი ამბავია, უფრო თამამად მოვყვები: ლესელიძეზე სახაჭაპურეა ერთი. ცოლ-შვილთან ერთად ხშირად ვსტუმრობ ხოლმე... ზამთარი იყო, გვარიანად ციოდა. თბილად ვიყავით მოკალათებულები და მეგრულ ხაჭაპურს შევექცეოდით.**

**ცოტა ხანში სახაჭაპურის შუშის კართან საკმაოდ ასაკიანი ტანდაბალი მამაკაცი აიტუზა. მსუბუქად რომ ვთქვა, არც ისე კარგად და სუფთად ჩაცმული, გაუპარსავი, თმებდაუვარცხნელი... ჩემს ვაჟს კოცნებს უგზავნიდა, თვალს უკრავდა, უღიმოდა. ბავშვმაც ღიმილით და თამაშით უპასუხა. ვთხოვე, სითბოში შემოსულიყო და ცხელ-ცხელი ხაჭაპური ჩვენთან ერთად ეჭამა, თუმცა სასტიკი უარი თქვა, — „ჩემთვის მანდ შემოსვლა არ შეიძლებაო“... ავდექი და მიმტანს მისთვის ხაჭაპურის გამოცხობა ვთხოვე, ვიფიქრე, ცხელი კერძი ესიამოვნებოდა უცხო ბაბუს, მანამდე კი მასთან გავედი ქუჩაში, ერთად გავაბოლეთ... „სოლოლაკელი სომეხი მიშკა ვარ, ევროპის ჩემპიონი იყო ჩემი ვაჟი, მოსკოვში მომიკლეს და მას შემდეგ გავლოთდიო“...**

**დიდხანს, ძალიან დიდხანს მიყვებოდა თავის ამბებს, თან ცრემლები ახრჩობდა...**

**ხაჭაპურთან ერთად, მიმტანს მისთვის ლუდიც შევუკვეთე, თუმცა პირი არც ერთს არ დააკარა, „დიდი ხანია ჩემთვის ყური არავის დაუგდია, ყველა ზიზღით მიყურებსო“, — მითხრა და ჩასახუტებლად გადმოიწია, მაგრამ თავადვე შეყოვნდა. მივხვდი, რომ შერცხვა, ეუხერხულა, ალბათ, იმიტომ, რომ მოუწესრიგებელი იყო. ავდექი და გულში ჩავიკარი. პატარა ბავშვივით ატირდა, აქვითინდა და არც მე ჩამოვრჩი.**

**ამის დამნახავ მიმტანს ხელიდან ლანგარი გაუვარდა, ცოლიც და შვილიც თვალებგაფართოებული მოგვშტერებოდა თბილი შენობიდან...**

**დიდხანს ვიყავით ასე ჩახუტებულები, მერე უცბად ხელი მკრა, ყვირილი დაიწყო და დიდხანს გაჰყვიროდა: „ჩამეხუთა, ხალხო, ჩამეხუთა“...**

**1,18 ლარზე ან მილიონ დოლარზე, ცხელ ხაჭაპურზე ან ლუდზე მეტად ადამიანური სითბო გვაკლია, რომელიც, სამწუხაროდ, დიდი ხანია, სადღაც გაქრა და აღარ არსებობს...**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

## ერდოღანი გადადგომისთვის მზადაა, თუმცა ერთი პირობით...



თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ თაიფ ერდოღანის განცხადებით, ის მზად არის, პოსტი დატოვოს, თუ დამტკიცდა, რომ თურქეთი ნავთობს „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებისგან ყიდულობს. „ბიბისის“ ინფორმაციით, ამის შესახებ ერდოღანმა პარიზში, კლიმატური ცვლილებების კონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა.

– თუ ეს დამტკიცდა, მაშინ ჩვენი ეროვნული სიამაყე მოითხოვს, რომ გადავდგე, – განაცხადა ერდოღანმა.

მანამდე, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსულ მხარეს აქვს მტკიცებულებები „ისლამური სახელმწიფოს“ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან თურქეთში კონტრაბანდული ნავთობის მიწოდების შესახებ.

– ჩვენ ახლა დამატებითი მონაცემები მივიღეთ, რომელიც ადასტურებს, რომ, სამწუხაროდ, „ისლამური სახელმწიფოსა“ და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან ნავთობის უზარმაზარი მოცულობა თურქეთს მიეწოდება, – განაცხადა პუტინმა პარიზში ჟურნალისტებთან შეხვედრაზე. (bpn.ge)

**ვოვაჩკა კი ამტკიცებს, ერდოღანი მაგრად მამაძაღლობსო, მტკიცებულებები გვაქვსო, მაგრამ, როგორც მისი პრესმდივანი დიმიტრი პესკოვი ამბობს, რუსეთი თურქეთისა და „ისლამური სახელმწიფოს“ მეგობრობის დამადასტურებელ დოკუმენტებს არ გაასაჯაროებს.**

**ჰოდა, არ არის ახლა ეს მინიმუმ ნამეტანი უცნაურობა?! ლამის სამკვდროდ გადაეკიდნენ რუსები თურქებს, ყოველდღე ერდოღანს ლანძღავენ და თათხავენ, მაგრამ კომპრომატებს კი არ უქვეყნებენ. არა, სულაც არ არის გამორიცხული, კონტროლს დაქვემდებარებული რომელიმე მედიის საშუალებით გაავრცელონ მტკიცებულებები, თუმცა ასეთ მტკიცებულებებს გაცილებით ნაკლები წონა ექნება, ვიდრე ოფიციალურად გავრცელებულს.**



**ასეა თუ ისე, თავში ქვა უხლია რუსეთსაც და თურქეთსაც!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სოფიას აეროპორტის ტერმინალთან ასაფეთქებელი მოწყობილობა იპოვეს




სოფიას აეროპორტი დროებით დაიხურა, რისი მიზეზიც ტერაქტის განგაში გახდა. სამართალდამცავებმა აეროპორტში ევაკუაციაა მას შემდეგ განახორციელეს, რაც ტერმინალთან მანქანა აღმოაჩინეს, რომელშიც ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო მოთავსებული. ინფორმაციას ამის შესახებ სააგენტო „როიტერი“ აეროპორტის ადმინისტრაციაზე დაყრდნობით ავრცელებს.

აეროპორტის წარმომადგენლის განცხადებით, ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა მიკროავტობუსში ბომბის არსებობა დაადასტურეს, თუმცა რა სახის ასაფეთქებელ მოწყობილობაზეა საუბარი, არ დაუკონკრეტებიათ. (ნიუპოსტი)

## თამაზაშვილი ელისაშვილს: თქვენ ხართ ცილისმწამებელი, მატყუარა ადამიანი!



პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრი, ალექსანდრე თამაზაშვილი საკრებულოს დამოუკიდებელ დეპუტატს, ალექსანდრე ელისაშვილს ცილისწამებაში ადანაშაულებს.

როგორც თამაზაშვილი აღნიშნავს, ელისაშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი 12 ოჯახის გამოსახლებას ხელმძღვანელობს, სრული სიცურეა.

„ათასი ჭორი ვრცელდებოდა და ვრცელდება პირადად ჩემზე. ყველაზე პასუხის გაცემას აზრი არა აქვს, რადგან იმდენად აბსურდულია... თუმცა გააჩნია ვინ გწამებს ცილს და ცილისწამებათა აბსურდულობა, რაც გადადის სიბრიყვეში. პასუხის გაცემა იმიტომ გადავწყვიტე, რომ საკრებულოს დეპუტატს მიზანმიმართულად შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება და არა მარტო ჩემთვის, არამედ საზოგადოებისთვისაც გახდა ნათელი, რომ ასეთ „ჭეშმარიტებებს“ დეკლარირებს, ვითომ დამოუკიდებელი დეპუტატი, ელისაშვილი. ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერით, ალეკო ელისაშვილმა, მისთვის ჩვეული სიცრუის ტირაჟირება მოახდინა. თითქოს, თორმეტ ოჯახს ვასახლებ სახლიდან და აღნიშნა, რომ ამის დამადასტურებელი მასალა მოეპოვება ფოტოსურათის სახით.

ბატონო ალეკო, თქვენ ხართ ცილისმწამებელი, მატყუარა ადამიანი, სწორედ ასე მოგიხსენიებთ მანამდე, ვიდრე აღნიშნულ ფოტოს არ გამოაქვეყნებთ და ამით არ დაამტკიცებთ თქვენი მონაყოლის სისწორეს.

ასევე ვაპირებ, მივმართო პროკურატურას, გადაცემაში გაჟღერებული ინფორმაციის შესწავლა-გამოკვლევის და შემდგომში რეაგირების მიზნით“. – აღნიშნავს თამაზაშვილი. (რეპორტიორი)

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



**„ალიას“ მოძრაობა „მემარცხენე ალიანსის“ ლიდერი, კახა ძაგანია ესაუბრება:**

**— თქვენ ითხოვთ, რომ პენსიები გაიზარდოს 200 ლარამდე და პენსიონერებზე უფასოდ გაიცეს წამლები საყოველთაო ჯანდაცვის დაზღვევის პროგრამით. ეს როგორ უნდა მოხდეს, როცა 20 ლარითაც ძლივს ზრდიან და ისიც მომავალი წლის ივნისიდან?**

– როცა პარლამენტში ბიუჯეტი პირველი მოსმენით განიხილეს და მთავრობას უკან დაუბრუნეს, მაშინ ჩვენი ინიციატივა იყო, რომ პენსიები გაზრდილიყო 40 ლარით.

**— პლუს „ნაციონალები“ ითხოვდნენ 50 ლარით გაზრდას.**

– კი, ეგენი 50 ლარით გაზრდას ითხოვდნენ. ჩვენ ვითხოვდით უფასო მედიკამენტებსაც საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში. მარტო მედიკამენტების დაფინანსებას სჭირდება 80 მილიონი ლარი, ხოლო 40 ლარით პენსიების გაზრდას – 300 მილიონი.

**— მერე, საიდან უნდა მოიტანოს მთავრობამ 380 მილიონი ლარი?**

– დიახ, ჩვენ ამისი წყაროც მივუთითეთ, ათეულობით და ასეულობით მილიონი ლარი მიდის სახელფასო დანამატებსა და პრემიებზე. სამინისტროებში უბრალო განყოფილების გამგეებსაც კი მანქანები ემსახურებათ და მძღოლები ჰყავთ. არა მხოლოდ გამგეებს, მათ მოადგილეებსაც. რეზერვები არის, ცოტა ქამრის მოჭერაა საჭირო. რაც ხდება, ეს რა ღორობაა? მარტო მანქანები და მძღოლები? მათ აქვთ სოციალური გარანტიები, უფასო ბენზინი, უფასო ტელეფონი, მანქანის მოვლა და ასე შემდეგ. ზოგიერთი ჩინოვნიკი დღეში წვავს 500 ლიტრ ბენზინს, ეს ხომ წარმოუდგენელია? სასწაულ ციფრებზეა ლაპარაკი. მერე, გულდაწყვეტით ვამბობ, ამათ ნებისმიერი ინიციატივისა ეშინიათ, ემანდ შეცდომა არ დავუშვათო. ურჩევნიათ, არაფერი არ გააკეთონ, ვიდრე გააკეთონ და ვიღაცამ უსაყვედუროთ. შეიძლება, გაკეთებაში შეცდომა მოგივიდეს, მაგრამ რაღაც ინიციატივა ხომ უნდა გამოიჩინო? დადუმებულები არიან და ამ დროს კაი ცხოვრებას კი მიეჩვივნენ.

**— ჰოდა, რატომ უნდა იაქტიურონ, როცა დანამატები ისედაც მოდის?**

– გაჩუმება, დადუმება და უუნარობა დიდხანს ვერ გაგრძელდება, მერე აღარ უნდათ კაი ცხოვრება? დღეს ბუჩქებში ჯდომა დიდი შეცდომა და დანაშაულია, ვიდრე რაღაცა გააკეთო და შეცდომა მოგივიდეს. მე ბრიფინგზე ამ საკითხებსაც წამოვწევ და ასევე ვილაპარაკებ, რაც ხდება ტერორიზმთან დაკავშირებით, უსაფრთხოების სამსახურმა კი აიყვანა 4 ექვმიტანილი, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია, უამრავი გაურკვეველი წარმოშობის ადამიანი შემოდის საქართველოში. კიდევ ბევრია ასაყვანი. ჩემი აზრით, ამ კუთხით მთლიანად უნდა შეიცვალოს პოლიტიკა და მიდგომები, ჯერ კიდევ ვერ გაგვირკვევია, რატომ არსებობს ორი უშიშროების საბჭო, ერთი – პრეზიდენტთან, მეორე – პრემიერ-მინისტრთან. ორივე უწყება ცალ-ცალკე ფინანსდება, ერთმანეთში ვერ გადაუწყვეტიათ, რა უნდა გააკეთონ და როგორ უნდა მოიქცნენ. ჩვენი ინიციატივაა, სასაზღვრო დანაყოფებში, ასევე, შევიდეს კონტრდაზვერვა და უსაფრთხოება. ამასაც საკანონმდებლო ცვლილება სჭირდება. საერთოდ, ბევრი საკანონმდებლო ცვლილებაა საჭირო, რათა ამ მსოფლიო ჭირს გავუმკლავდეთ. ამას სპეციალისტების დიდი არმია, ასევე, საზღვრის დაცვის გაძლიერება, ახალი დანაყოფების შექმნა და ასე შემდეგ. ყველა აღიარებს, აგერ გამოვიდა ამერიკის ელჩიც და თქვა, გეოგრაფიულად ძალიან რთულ პირობებში ცხოვრობთ, ძალიან რთული მეზობლები გყავთო. კი დაგვპირდა, შეერთებული შტატები დაგეხმარებათო, მაგრამ საკუთარი თავი თვითონ თუ არ დავიცავით, სხვა მაინც ვერაფერს გვიშველის, ღმერთმა ნუ ქნას, აქ რამე მოხდეს, ისინი მხოლოდ აღშფოთდებიან და შეშფოთდებიან.




# „ჩვენი ინიციატივა იყო, რომ პენსიები გაზრდილიყო 40 ლარით“



**ჩვენ ამისი წყაროც მივუთითეთ, ათეულობით და ასეულობით მილიონი ლარი მიდის სახელფასო დანამატებსა და პრემიებზე. სამინისტროებში უბრალო განყოფილების გამგეებსაც კი მანქანები ემსახურებათ და მძღოლები ჰყავთ. არა მხოლოდ გამგეებს, მათ მოადგილეებსაც...**

**უფასო ბენზინი, უფასო ტელეფონი, მანქანის მოვლა და ასე შემდეგ. ზოგიერთი ჩინოვნიკი დღეში წვავს 500 ლიტრ ბენზინს, ეს ხომ წარმოუდგენელია?**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

## ჯანდაცვის სამინისტრო პატარა ბუკა ნიკურაძის გარდაცვალების ფაქტზე განცხადებას ავრცელებს

ჯანდაცვის რეგულირების სააგენტო 8 წლის მ. ნიკურაძის გარდაცვალების ფაქტზე განცხადებას ავრცელებს, სადაცა აღნიშნულია, რომ დაინტერესებული პირის მიმართვის შემთხვევაში, სათანადო ღონისძიებების გაატარებს. როგორც რეგულირების სააგენტოში აცხადებენ, პაციენტ მ. ნიკურაძისთვის გაწეული სამედიცინო დახმარების საკითხით რეგულირების სააგენტო დაინტერესდა რამდენიმე თვის უკან, მინისტრის დავალებით, პაციენტის მშობლის მომართვის საფუძველზე.

„ამ ეტაპზე, უფლებამოსილ პირს საკითხის შესწავლის მიზნით, რეგულირების სააგენტოსთვის ჯერჯერობით არ მოუმართავს. მომართვის, ან შესაბამისი უწყების დაინტერესების შემთხვევაში, ახალი გარემოებების გათვალისწინებით, გატარდება სათანადო ღონისძიებები. საკითხი, საბოლოო შესწავლის შემდეგ, როგორც წესი, განიხილება მინისტრთან არსებულ, პროფესიული განვითარების საბჭოზე, სადაც განისაზღვრება მკურნალობაში მონაწილე სამედიცინო პერსონალის, ექიმების პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი“, – აცხადებენ რეგულირების სააგენტოში.

შეგახსენებთ, რომ 8 წლის ბუკა ნიკურაძე 1 დეკემბერს გარდაიცვალა. გარდაცვლილის მამიდა მომხდართან დაკავშირებით სამართალდამცავებს მიმართავს და იაშვილის კლინიკის პროფესორ ასმათ შენგელაიას არაკომპეტენტურობაში ადანაშაულებს. გარდაცვლილის მამიდის განცხადებით, შენგელაიამ ნიკურაძეს ლეიკემიის დიაგნოზი შეცდომით დაუსვა და მკურნალობის არასწორი კურსი ჩაუტარა, რამაც ფატალური შედეგი გამოიწვია. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ოფიციალური მონაცემებით, ISIS-ის რიგებში საქართველოს 50-მდე მოქალაქეა გაწევრიანებული



დადგენილია საქართველოდან წასული იმ ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც უკვე ISIS-ის რიგებში იბრძვიან.

ოფიციალური მონაცემებით, ტერორისტულ ორგანიზაციაში საქართველოს 50-მდე მოქალაქეა გაწევრიანებული. მათი დიდი ნაწილი პანკისის ხეობიდან, გურიიდან, აჭარიდან და ქვემო ქართლიდანაა. ახალგაზრდების გადაბირების გარდა, ჩვენს ქვეყანას მებრძოლების გადაყვანის დროს ტრანზიტული დანიშნულებითაც იყენებენ. (რეპორტიორი)

## „ხელისუფლება წინასწარ გვეუბნება, რომ გააყალბებს არჩევნებს და მოიპოვებს გამარჯვებას!“



„სახალხო პარტიის“ ლიდერი, მამუკა გიორგაძე საარჩევნო სისტემაში შესატან ცვლილებებზე საუბრობს და აცხადებს:

პროექტით საარჩევნო ადმინისტრაციული ერთეულების გაერთიანება გათვალისწინებულია ამომრჩეველთა სიების მიხედვით. ასე მაგალითად, სამეგრელოს ორ-სამ რაიონს შეიძლება ჰყავდეს ერთი მაჟორიტარი დეპუტატი, მაშინ, როცა თბილისს, აღნიშნული პროექტით, ეყოლება 18.

არჩევნები – ესაა მოსახლეობის კონსენსუსი, როგორი ცხოვრება გვინდა მომავალ 4 წელიწადში. ჩვენთან კი, საუბარია არა კონსენსუსზე, არამედ მანიპულირებაზე, როგორ მოატყუონ მოსახლეობა. მით უმეტეს, რომ არაა დადგენილი ამომრჩეველთა ზუსტი რაოდენობა და არ გვაქვს აღწერითი მონაცემები. ხელისუფლება მზადაა, ნებისმიერ სისულელეზე გადართოს დებატები, ოღონდაც არ იყოს საუბარი ამომრჩეველთა რაოდენობაზე... წინასწარ გვეუბნებიან, რომ უკვე აყალბებენ არჩევნებს და ნებისმიერი გზით ეცდებიან და მოიპოვებენ კიდეც ამ გამარჯვებას...

დღეს გვაქვს საბჭოურ-კლანური მმართველობა, რომელსაც ნომინალურად პარტიებს უწოდებენ, ეს კი არაა პარტიები, ესაა – ბელადი, რომლის გარშემო ადამიანების გარკვეული ჯგუფი დგას! საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს კლანური მმართველობა! (ივერიონი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რადას დეპუტატი: სააკაშვილს მსხვილი ბიზნესმენები ფულს უხდიან — ოხ, ნეტა, რატომ არ გვიკვირს?!



უკრაინის უმაღლესი რადას დეპუტატი დიმიტრი გოლუბოვი აცხადებს, რომ ოდესის ოლქის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი ოდესელი ბიზნესმენებისთვის ფულის გამოძალვითაა დაკავებული.

ამის შესახებ მან ტელეარხ „112 Украина"-ს ეთერში აღნიშნა.

მისი განცხადებით, ოდესის მსხვილი საწარმოები იღებენ წერილებს, რომლებშიც მათ „ჰუმანიტარულ დახმარებას" – 104 ათას აშშ დოლარს სთხოვენ.

– თითქმის ყველა მსხვილი ბიზნესმენი ოდესაში ფულს უხდის სააკაშვილს, – განაცხადა დეპუტატმა და აღნიშნა, რომ მას ამის დამადასტურებელი მასალები აქვს, რომელთა გამოქვეყნებასაც აპირებს. (ინფო9)

## სახელმწიფო ვალი ისტორიულ მაქსიმუმზე ავიდა




„რუსთავი 2"-ის ინფორმაციით, 2016 წლის ბიუჯეტის მესამე, ბოლო ვარიანტი 200 მილიონით არის გაზრდილი. გაზრდილი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი პუნქტი სახელმწიფო ვალია, რომელიც ისტორიულ მაქსიმუმზე ავიდა.

2016 წლის ბიუჯეტში სახელმწიფო ვალი 14,6 მილიარდი ლარით არის დაგეგმილი, რაც წლევანდელ მაჩვენებელს თითქმის 800 მილიონით აღემატება, ხოლო 2012 წლის შემდეგ 5,5 მილიარდით, ანუ მთელი 60 პროცენტით არის გაზრდილი.

ამაში წვლილი ლარის ვარდნამაც შეიტანა, თუმცა არა საშინაო ვალის ნაწილში, რომელსაც მთავრობა ლარში იღებს.

2012 წელს მისი მოცულობა 2 მილიარდ ლარამდე იყო, 2015 წელს კი 3 მილიარდს გადასცდა და 2016 წელსაც იმავე ნიშნულს ინარჩუნებს.

2015 წელს მთავრობამ დამატებით 500 მილიონი ლარის შიდა ვალი აიღო, 2016 წელს კი კიდევ 200 მილიონს ისესხებს. ქართული ბანკებიდან ვალის აღება წლიურ 14-პროცენტიან განაკვეთს აღწევს. (ნიუპოსტი)

# დედას გაფიცებთ, ბატონო მინისტრო, რა თქვით ახლა აქ ან ახალი, ან ისეთი, რომ გულს გაგვიხარებდა? არც არაფერი!



**მეტი რაღა ჯანდაბა უნდა გავაკეთოთ, კაცო? გრაალის თასს ჩვენ ვერ შევქმნით, ვეღარც იუდას შევუშლით ხელს, რომ 30 ვერცხლად არ გაყიდოს ქრისტე და დანარჩენში ვიჭრებით რამეში ნატოსთან? არა!**






ამ ჩვენს პოლიტიკოსებს, ძვირფასო მკითხველო, გაზუთხული აქვთ უკვე, რა უნდა თქვან ნატოზე, ევროპაზე, რომ საქმედაც ჩაეთვალოთ და თან არც მწვადი დაწვან და არც შამფური.

თუ არ გჯერათ, ა, ბატონო, კვირიკაშვილს უგდეთ ყური:

– ჩვენი მიზანია ნატოს წევრობა, ალიანსის გადასაწყვეტია, რა ინსტრუმენტებით უზრუნველყოფს საქართველოს გაწევრიანებას. ჩვენ დღეს გვაქვს ყველა საჭირო ინსტრუმენტი ამისთვის, მათ შორის ნატოს სამხედრო ძალებთან თავსებადობის კუთხით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, – ამის შესახებ საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ბრიუსელში განაცხადა, სადაც ის ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალში მონაწილეობს. მისი შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველო ნატოში ინტეგრაციის გზაზე იყოს თანმიმდევრული, რადგან საქართველოს საბოლოო მიზანი ალიანსის წევრობაა და ქვეყანა მზად უნდა იყოს იმ პერიოდისთვის, როცა ეს შესაძლებელი გახდება.

– ყველას უნდა გვესმოდეს, რომ ნატოს წევრობა არის საქართველოს საბოლოო მიზანი და ამ მიმართულებით უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რათა დაველოდოთ იმ დროს, როცა ეს შესაძლებელი გახდება. ნატო უნდა იყოს მზად იმისთვის, რომ საქართველოს გაწევრიანებაზე მიიღოს დადებითი გადაწყვეტილება, საქართველო კი, თავის მხრივ, ყველაფერს აკეთებს, რათა შეიძინოს ის ინსტრუმენტები, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს გაწევრიანებას ალიანსში. ვფიქრობ, უკვე გვაქვს ძალიან დიდი პროგრესი სახეზე, ამას ხაზს უსვამენ ჩვენი პარტნიორები და ამ მიმართულებით გავაგრძელებთ მუშაობას, – აღნიშნა კვირიკაშვილმა.

მისი თქმით, საქართველო მონაწილეობს ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გლობალურ უსაფრთხოებაში.

– ჩვენ, ასევე, ვმონაწილეობთ ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში, რომელიც არა მხოლოდ ავღანეთში, არამედ მთლიანად რეგიონში უზრუნველყოფს უსაფრთხოებასა და სტაბილურობას, ამიტომ ვფიქრობთ, რომ ჩვენ გვაქვს ყველაფერი, რაც საჭიროა ნატოს წევრობისთვის, თუმცა უნდა იყოს მზაობა თავად ნატოს ყველა წევრის მხრიდან, რათა მიღებული იქნას ეს გადაწყვეტილება. დღეს ჩვენ არ ვიცით, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ვარშავის სამიტზე, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ეს გადაწყვეტილება, საქართველო თანმიმდევრულად, მტკიცედ გააგრძელებს ამ ვექტორს – ნატოს წევრობისკენ სვლას, – განაცხადა საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა. (ნიუპოსტი)

**დედას გაფიცებთ, ბატონო მინისტრო, რა თქვით ახლა აქ ან ახალი, ან ისეთი, რომ გულს გაგვიხარებდა? არც არაფერი!**

**ნატოს წევრობა რომაა ჩვენი მიზანი, ეგ გადასარევად ვიცით! ისიც ვიცით, რომ ალიანსის გადასაწყვეტია, რა ინსტრუმენტებით მოხდება ჩვენი გაწევრიანება, მაგრამ სად ჯანდაბაშია ეს ინსტრუმენტები, აქ უკვე ბურუსითაა მოცული ყველაფერი.**

**ჰო, ჯარიც რომ გვყავს ნატოს სტანდარტების, ეგ ამბავიც ზეპირად ვიცით და გვახარებს კიდეც, მაგრამ რა ხეირი მანდედან?**

**ყველაზე ცუდად აი, ეს სიტყვები ხვდება ყურს: „ყველაფერი უნდა გავაკეთოთ და დაველოდოთ იმ დროს, როცა ეს შესაძლებელი გახდება".**

**მეტი რაღა ჯანდაბა უნდა გავაკეთოთ, კაცო? გრაალის თასს ჩვენ ვერ შევქმნით, ვეღარც იუდას შევუშლით ხელს, რომ 30 ვერცხლად არ გაყიდოს ქრისტე და დანარჩენში ვიჭრებით რამეში ნატოსთან? არა! ერთ-ერთი ყველაზე დიდი კონტინგენტით ვართ წარმოდგენილები ცხელ წერტილებში? კი! აბა, როდისღა დადგება დრო, როცა ალიანსში მიგვიღებენ, რომ ამოვწყდებით და გადავშენდებით მამაძაღლი პუტინის გამო? ჰოდა, აიღეთ მერე ეგ თქვენი ნატო და ხევში გადააგდეთ!..**

**ერთადერთი ხეირი, რაც ნატოს უკავშირდება, ის არის, რომ ჩინოვნიკები დადიხართ აღმა-დაღმა ხალხის ფულებით ათასგვარ სამიტსა და მინისტერიალზე დასასწრებად და იმიტომაცაა ზედგამოჭრილი ამ ყველაფერზე — „გიჟი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა"...**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი პატიმრობიდან გაათავისუფლეს



თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი ალექსანდრე ნინუა პატიმრობიდან 30 ნოემბრის საღამოს გაათავისუფლეს. ამის შესახებ „რუსთავი 2"-ს ინფორმირებულმა წყარომ აცნობა. ნინუას განთავისუფლება პირობით ვადაზე ადრე მოხდა. ადვოკატები ნინუას განთავისუფლებას 2015 წლის ივნისიდან ითხოვდნენ, კომისიის უარის შემდეგ კი მათ ეს გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრეს.

შეგახსენებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისთვის თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილ უფროსს ალექსანდრე ნინუას 3 წლით თავისუფლების აღკვეთა 2014 წლის 22 მაისს მიუსაჯა.

ალექსანდრე ნინუა 2013 წლის 12 დეკემბერს დააკავეს. მისი თქმით, დაკავების პროვოცირება თავად მოახდინა. დაკავებამდე ნინუამ ვიდეომიმართვა ჩაწერა, სადაც ამბობდა:

– მას შემდეგ, რაც ჩატარდა არჩევნები, შეიცვალა მთავრობა, ბუნებრივია, ჩემი ყოფილი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეკითხვები ექნებოდათ და ამაში ტრაგიკულს ვერ ვხედავდი არც მაშინ და არც დღეს. როდესაც მიბარებდნენ, არც ერთ დაკითხვაზე არ დამიგვიანია. ყველგან მივდიოდი ამ 1 წლის განმავლობაში. ამას მოჰყვა ის, რომ ჩემი მოადგილეების დაბარება დაიწყეს, დაიწყეს დეპარტამენტში მყოფი სამმართველოების უფროსების დაბარება, გაიშალა თემა, ჩავიდა მენეჯერებამდე. ძალიან იმედიანად იყვნენ გამომძიებლები იმასთან დაკავშირებით, რომ ბომბს აღმოაჩენდნენ და ეს ყბადაღებული თემა, რომ თითქოს ჩვენ ვიჯექით და გამოვჭამეთ ჯარის მთელი ბიუჯეტი, ამას ააფეთქებდნენ და რაღაც ფურორს მოახდენდნენ. ეს, რა თქმა უნდა, ვერც მოხდებოდა, რამდენჯერმე იყო შემოთავაზება, რომ წავსულიყავი ქვეყნიდან. ეს იმას ემსახურებოდა, რომ წავსულიყავი ქვეყნიდან და ის სიბინძურეები, რაც ჩვენი მისამართით გაჟღერდა, რაღაც დოზით გამართლდებოდა. იტყოდნენ, გაიქცა ქვეყნიდანო. ერთი წელია, ფეხი არ მომიცვლია, ორჯერ ვიყავი წასული ქვეყნიდან – ერთხელ ერთი კვირით, ერთხელ 3 დღით და დავბრუნდი... (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნებისმიერ შემდგარ სახელმწიფოში პაატა ზაქარეიშვილი მინისტრი არ იქნებოდა"




„განვითარების ფონდის" წევრი და პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე მიიჩნევს, რომ პაატა ზაქარეიშვილი მინისტრის თანამდებობას არ უნდა იკავებდეს. ლაგაზიძის თქმით, ზაქარეიშვილი დღეს მინისტრის თანამდებობას რომ იკავებს, საქართველოს ხელისუფლებისა და სახელმწიფოს შეუმდგარობაზე მიანიშნებს.

პოლიტოლოგის განმარტებით, პაატა ზაქარეიშვილის განცხადება აფხაზეთთან დაკავშირებით ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა.

– ნებისმიერ სახელმწიფოში, რომელსაც მიაჩნია, რომ ის არის შემდგარი სახელმწიფო, ეს ადამიანი მინისტრი არ იქნებოდა. აქ უკვე ვეღარ ვისაუბრებთ შეცდომაზე, ვეღარ ვისაუბრებთ ვიღაცის არაკვალიფიციურობაზე. საქმე გვაქვს საქართველოს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებასთან. აქედან გამომდინარე, ის, რომ ჩვენ აღნიშნული კომენტარის გაკეთებიდან სამი დღის შემდეგ, ასე მშვიდად ვაფასებთ ამას და ეს ადამიანი მინისტრის პოსტს კვლავ იკავებს, ეს არის იმის ნიშანი, რომ ვერც საქართველოს ხელისუფლება შედგა ხელისუფლებად და ვერც საქართველო – სახელმწიფოდ, – განაცხადა ხათუნა ლაგაზიძემ.

შეგახსენებთ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არ ყოფილა და ერთ სახელმწიფოში ცხოვრების ერთადერთი გამოცდილება, რაც გვახსოვს, საბჭოთა კავშირია. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რუსეთის ხელისუფლებამ აკრძალული თურქული პროდუქციის ჩამონათვალი გამოაქვეყნა



რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერა განკარგულებას თურქეთისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების შესახებ. განკარგულებაში დეტალურად არის პროდუქციისა და ნედლეულის ჩამონათვალი, რომლის შეტანაც თურქეთიდან რუსეთში 1-ლი იანვრიდან აიკრძალება.

დოკუმენტის ტექსტი რუსეთის ფედერაციის მთავრობის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. მედვედევმა დაამტკიცა სოფლის მეურნეობის პროდუქციის, ნედლეულისა და ნაწარმის სია, რომელსაც თურქეთიდან რუსეთში ახალი წლიდან ვეღარ შეიტანენ.

ჩამონათვალში მოხვდა თურქული ტომატები, მარწყვი, ყვავილოვანი კომბოსტო და ბროკოლი. იკრძალება მარილის, მიხაკის, რამდენიმე დასახელების ხორცისა და ხორცპროდუქტების ექსპორტი. სიაშია ატამი, მანდარინი, ყურძენი, ვაშლი, მსხალი და გარგარი.

განკარგულებაში დაზუსტებულია, რომ აკრძალვა არ ეხება პირადი მოხმარებისთვის შემოტანილ პროდუქტს და რაოდენობები განისაზღვრება ევროკავშირში მიღებული სტანდარტების მიხედვით.

თურქული პროდუქციის აკრძალვის პარალელურად ცნობილი ხდება, რომ ყველა რუსი სტუდენტი, რომლებიც თურქეთში აკადემიური გაცვლითი პროგრამით სწავლობს, მაქსიმალურად მოკლე დროში, რუსეთში დაბრუნდება. აღნიშნულის შესახებ, რუსეთის განათლების სამინისტრო ავრცელებს ინფორმაციას.

რუსეთის განათლების სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, თურქეთში 100-მდე რუსი სტუდენტი სწავლობს.

როგორც რუსეთის განათლების მინისტრმა დიმიტრი ლივანოვმა განაცხადა, რუსეთის ყველა უნივერსიტეტში გადაგზავნილია საგანგებო განცხადება იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ შეჩერდეს ნებისმიერი სახის თანამშრომლობა თურქეთთან. (ipress.ge)

## ბახმაროში ქარიშხალმა 50-მდე კოტეჯი, სასტუმრო და პოლიციის შენობა დააზიანა



ბახმაროში ქარიშხალმა 50 მდე კოტეჯი, სასტუმრო და პოლიციის შენობა დააზიანა.

კურორტ ბახმაროს დირექტორის დავით საჯაიას განცხადებით, სტიქიის გამო გაწმენდითი სამუშაოების დაწყება ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

– დაზიანებულია დაახლოებით 50-მდე საცხოვრებელი კოტეჯი, ასევე, სასტუმროსა და პოლიციის შენობები. წაქცეულია ელექტროგადამცემი ხაზები. ჯერჯერობით ზარალის ოდენობა უცნობია. როგორც კი გამოიდარებს, დავიწყებთ გზის გაწმენდით სამუშაოებს, – განაცხადა დავით საჯაიამ. (ნიუპოსტი)




დიანა ლიპარტელიანი

571 80-40-80


# თაღლითური სქემა, რომელიც სპეციალურად ქალებისთვისაა შექმნილი

**რას უნდა ერიდონ ქალბატონები, როცა მათ უფასო კოსმეტიკურ მომსახურებას შესთავაზებენ? რა უნდა მოიმოქმედონ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი მიხვდებიან, რომ აფიორულ სქემაში ამოაყოფინეს თავი?**

**„ალიას“ სამართლის დოქტორი, ავთანდილ კახნიაშვილი ესაუბრა:**

– აქტიური იურისტი ვარ და ყოველთვის ვცდილობ, საზოგადოების ყურადღება მივაპყრო ისეთ საკითხებს, რაც მათ ინტერესის სფეროში შედის. მათ შორისაა თაღლითური სქემებიც, რომლისგანაც ქვეყნის კანონმდებელთა უუნარობის გამო, მოქალაქეები არ არიან დაცულები. დედაქალაქში, სხვადასხვა თაღლითური გზით, უბრალო მოქალაქეების ხარჯზე ხდება კონკრეტული პირების გამდიდრება და ამან მასობრივი სახე მიიღო.

ერთ-ერთი სქემა, რომლით დაზარალებული ქალბატონებიც მოგვმართავენ, გახლავთ, ფაქტობრივად, თაღლითური სქემა, თავისი არსიდან გამომდინარე, რომელშიც, ძირითადად 30 წელს გადაცილებულ ქალბატონებს ითრევენ.

**— რაში მდგომარეობს ეს სქემა?**

– პირველ ეტაპზე ქმნიან შპს-ებს, რომელთა მიზანიც, იდეაში, თითქოს არის ქალბატონების მომსახურება. საკმაოდ კეთილმოწყობილი ოფისები აქვთ. ერთ-ერთი ბოლო შემთხვევა მოხდა ქავთარაძის ქუჩაზე. ეს კომპანიები რეკავენ ტელეფონებზე, თუ შეხვდებათ ქალბატონი, არკვევენ ასაკს და მერე ურეკავენ 2-ჯერ, 3-ჯერ, 10-ჯერ, სანამ მათთან არ მიიყვანენ (სხვათა შორის, ეს აგრესიული რეკლამაა და არ არის კანონით დარეგულირებული). თავს ახვევენ იმას, რომ როგორმე მათთან მიიყვანონ. ამით ძალიან ბევრი ქალბატონი ტყუვდება, ცდუნებას ვერ უძლებს და ხდება მსხვერპლი. მათ სთავაზობენ 10 წლით გაახალგაზრდავებას. ამ ხნის ქალბატონებს ძირითადად ოჯახები ჰყავთ, ქმრები, ჩვენთან კი, ტრადიციასავითაა, ქმრები შედარებით ახალგაზრდა მანდილოსნებისკენ იხედებიან. მერე ამ ქალბატონებსაც უნდათ, რომ ახალგაზრდებად გამოიყურებოდნენ და ებმებიან მახეში, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

**პირველ რიგში, სთავაზობენ უფასო პროცედურებს. ამას აკეთებენ ერთხელ, ორჯერ, სამჯერაც... საკმარისია, ერთხელაც ამის შემდეგაც მივიდეს ქალბატონი კომპანიაში, რომ მაშინვე გადადიან შემდეგ ეტაპზე. სახის ერთ ნაწილზე უკეთებენ სპეციალურ კოსმეტიკას, რომელსაც აქვს მომენტალური ეფექტი, მერე ამას ადარებენ სახის მეორე ნაწილს. ხდება ფსიქოლოგიური ზემოქმედება, როგორი ეფექტურია, როგორი საჭიროა და ა.შ. ფაქტობრივად, აჰიპნოზებენ.**

**ამის მერე გადადიან ახალ შეთავაზე — კოსმეტიკა უნდა შეაძენინონ. ბევრი მაშინვე თანხმდება და ნაღდი ფულით ყიდულობს მათ კოსმეტიკას. ძალიან ბევრს თანხა არ აქვს, იმიტომ, რომ საუბარია 1-2-3 ათასიდან 5 ათას ლარამდე ღირებულების პროდუქციაზე და მათთვისაც აქვთ მოფიქრებული ეფექტური მახე. სთავაზობენ განვადებებს, რომელსაც ზოგს თვეებზე უნაწილებენ, ზოგს წლებზე... მეტი დამაჯერებლობისთვის მიდიან გარკვეულ ფასდაკლებებზეც. ეს ადამიანებიც თანხმდებიან გაუაზრებლად.**

ბანკების საკითხია აქვე ძალიან საინტერესო. აგზავნიან მათთან დაახლოებულ ბანკებთან, შესაბამისად ხდება, ამ სესხების გაფორმება. მომენტალურად გასცემენ ისინიც სესხებს, სხვათა შორის, იმათზეც კი, რომლებსაც მანამდე 500-ლარიან სესხზე უთხრეს უარი სხვა საქმეზე. წესით, როცა ბანკში ხელშეკრულებას გიფორმებენ, იქ გიხსნიან ხელშეკრულების შინაარსის პირობებს, ამ შემთხვევაში კი არ ხდება არანაირი ახსნა და ასე ბრმად აწერინებენ ხელს. თვის ბოლო რომ მოდის და გადახდა უწევთ, აი, მაშინ ხვდებიან, რა შარში გაჰყვეს თავი.

**— რა უნდა გააკეთონ ქალბატონებმა, რომ ასეთი აფიორის მსხვერპლი არ გახდნენ?**

– პირველ რიგში, როდესაც ასეთ რამეს სთავაზობენ – უფასო მომსახურებას, ესაა ეჭვის საგანი და უნდა ეცადონ, თავი აარიდონ იქ მისვლას. თუ მაინცდამაინც მივლენ – გაეცანით, ხალხო, ხელშეკრულებას, მოითხოვეთ დრო მოსაფიქრებლად. დამერწმუნეთ, მათგან წამოსულები, მათი პროდუქციის შესაძენად იქ აღარ მიბრუნდებით. იქ მოხვედრილებმა არ მოაწეროთ ხელი არც ერთ დოკუმენტს – ეს არის კატეგორიული გაფრთხილება.

**— ვინც უკვე გააფორმა ასეთი ხელშეკრულებები, მათ რამე ეშველება?**

– მათთვის, ვინც უკვე გაეხვნენ ასეთ აფიორაში, არსებობს სამართლებრივი გზა. იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულებას შეწყვეტენ ცალმხრივად, მოქალაქემ უნდა გადაიხადოს მთელი თანხის 20%. ანუ, თუ თანხა არის 3 ათასი ლარი, მოუწევთ 600 ლარის გადახდა. ასეთ შემთხვევაში, ისევ კომპანია რჩება მოგებული, მაგრამ ვისთვისაც ეს 3 ათასი ლარი ძალიან დიდ თანხას წარმოადგენს, ესეც კი შვება ხდება.

**— ასეთი თაღლითობისთვის ვინმე დაუსჯიათ?**

– მე ზემოთაც აღვნიშნე, რომ ეს არის, ფაქტობრივად, თაღლითური სქემა. ანუ ამ თაღლითური სქემის დადასტურება საკმაოდ რთულია, რადგანაც ისინი გეუბნებიან, – ჩვენ ხომ შემოგთავაზეთ, ჩვენ ხომ არ მოგკიდეთ ხელი და ასე ხომ არ მოგაწერინეთ ხელი, ჩვენ ეს ყველაფერი ვიდეოზე გვაქვს გადაღებულიო. მერე მოქალაქეებიც ერიდებიან ამ ყველაფრის გახმაურებას. ბევრს ეშინია, რომ ამას მისი მეუღლე გაიგებს და მალავს საგულდაგულოდ.

**წესით და რიგით, ამ საკითხით პარლამენტი და კონკრეტულად ჯანდაცვის კომიტეტი უნდა ინტერესდებოდეს. უნდა დაარეგულირონ ეს საკითხი საკანონმდებლო დონეზე. როდემდე უნდა მდიდრდებოდნენ კონკრეტული ადამიანები ამ საწყალი ხალხის ყვლეფის ხარჯზე?! სახელმწიფომ ყველაფერი უნდა იღონოს, დაიცვან მოქალაქეები ასეთი აფიორებისგან.**





ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ნაცმოძრაობა“ ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე წინასწარი პატიმრობის აკრძალვას მოითხოვს




„ნაციონალური მოძრაობა“ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე წინასწარი პატიმრობის გამოყენების აკრძალვის ინიციატივით გამოდის.

მათ მიერ პარლამენტში წარდგენილია „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილების პროექტი, რომლის მიხედვით, პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, არ შეიძლება გამოყენებული იქნას ნაკლებად მძიმე დანაშაულში ბრალდებული პირის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბრალდებული მის მიმართ გამოყენებულ სხვა აღმკვეთი ღონისძიების პირობებს დაარღვევს, ან ნასამართლევია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის.

როგორც „ნაციონალურ მოძრაობაში“ განმარტავენ, ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე, რომელთა მაქსიმალური სანქცია პატიმრობის 5 წელიწადს არ აღემატება, წინასწარი პატიმრობის გამოყენება გადამეტებულია. საკითხის განხილვა პარლამენტში ჯერ არ დაწყებულა. (ინტერპრესნიუსი)

## „ეს არ არის ხალხისთვის, ეს არის კონკრეტული მაჟორიტარებისთვის მორგებული და გამოჭრილი“



საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები დეპუტატების კრიტიკის მიზეზი გახდა. საკმაოდ მწვავე განცხადებები გაკეთდა საარჩევნო ოლქების საზღვრის ცვლილების შესახებ, რომლის თანახმადაც, რაიონებში 73 ოლქიდან დარჩება 42 ოლქი, თბილისში კი 10 ოლქის ნაცვლად, იქნება 18 ოლქი. რა არგუმენტებით აიხსნება თბილისის მაჟორიტარების ზრდა და რა არ მოსწონს ოპოზიციას? ამ კითხვაზე გადაცემა „20/30“-ს „თავისუფალი დემოკრატების“ წევრმა გია ცაგარეიშვილმა უპასუხა:

„ეს არ არის ხალხისთვის, ეს არის კონკრეტული მაჟორიტარებისთვის მორგებული და გამოჭრილი, ეს გზა ჩვენ რამდენჯერმე გავიარეთ და უკან გახედვა არ გვინდა. ეს ის შემთხვევაა, რომ გაუკუღმართებულ კანონს მთავრობა თავზე გვახვევს დემოკრატიულის სახელით. არაფერი არ შეცვლილა, საარჩევნო სისტემა იგივეა, არადა 2012 წელს ჩვენი შეტყობინება ხალხისადმი იყო ის, რომ შევცვლიდით საარჩევნო კანონმდებლობას და სააკაშვილის მახინჯ მიდგომებს. მე მახსოვს, 17 დღე რუსთაველზე შიმშილობა მიმდინარეობდა და ჩვენი მოთხოვნა იყო მაჟორიტარული სისტემის გაუქმება. ჩემ გვერდით კარავში ბიძინა გუჯაბიძე და ზვიად ძიძიგური შიმშილობდნენ, თუმცა ახლა უარყოფენ, მაგრამ 2007 წლის 2 ნოემბრის აქციები სწორედ ამ მოთხოვნებით დაიწყო. დღეს ხელისუფლებამ არაფერი შეცვალა“. – განაცხადა ცაგარეიშვილმა. (postalioni.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## თუ ევროპაში დაერივნენ მსგავსი ბრალდებების გამო ავტორიტეტულ ფეხბურთელებსა და ჩინოვნიკებსაც კი, საქართველოში რატომ არ ხდება იგივე





ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლევან კობიაშვილის განცხადებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში სპორტული სამართლიანობის სამსახური შეიქმნება. მისი თქმით, აღნიშნული სამსახური გარიგებული მატჩების აღმოსაფხვრელად იმუშავებს.

– ვერ გაიგო ხალხმა, რა შეიცვალა ფეხბურთში. მომავალშიც 24 საათი ვიმუშავებთ ფეხბურთის განვითარებისთვის. მსგავსი ადამიანები კი ასეთი ქმედებებით წყალში ყრიან ჩვენს მუშაობას. ყველა ჩვენი რესურსით შევებრძოლებით გარიგებულ მატჩებს. იქმნება სპორტული სამართლიანობის ცენტრი, რომელიც ასეთ საკითხებზე იმუშავებს, ასევე მემორანდუმს გავაფორმებთ პროკურატურასთან და შს სამინისტროსთან, – განაცხადა კობიაშვილმა.

მისივე თქმით, მატჩების გარიგებები აქტიურად ხდებოდა გასული წლების განმავლობაში, თუმცა ეს უნდა შეიცვალოს. რაც შეეხება ბოლო ინციდენტს, რომელიც ხობის „კოლხეთსა“ და ცხინვალის „ლიახვის“ მატჩზე დაფიქსირდა, კობიაშვილმა „ლიახვის“ ფეხბურთელს, რომელთანაც მატჩის გარიგების მიზნით ზარი განხორციელდა, მადლობა გადაუხადა.

– მადლობას ვუხდი ამ ფეხბურთელს. მის სახელსა და გვარს ვერ დავასახელებ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე. მას დაურეკა ერთ-ერთმა პირმა და ფულის სანაცვლოდ შესთავაზა მატჩის გარიგება, თუმცა, ამ ფეხბურთელმა ეს ფაქტი არ დამალა და ამისთვის მე მადლობას ვუხდი მას, – განაცხადა ლევან კობიაშვილმა. (რეპორტიორი)

**ძალიან საინტერესო რამეებს ამბობს ხოლმე ლევან კობიაშვილი, რასაც რატომღაც, შესაბამისი ძალოვანი უწყებები ყურადღებას არ აქცევენ. ჯერ იყო და იმაზე საუბრობდა, მილიონობით ლარია გაფლანგული და უმისამართოდ დახარჯული ფედერაციაშიო. ახლა აგერ, თამაშების ჩაწყობა წლების მანძილზე მიმდინარეობდაო.**

**ძალიან გვაინტერესებს, თუ ევროპაში დაერივნენ მსგავსი ბრალდებების გამო ავტორიტეტულ ფეხბურთელებსა და ჩინოვნიკებსაც კი, საქართველოში რატომ არ ხდება იგივე, რატომ არ იძიებენ ამ თაღლითობის ფაქტებს, ესეც პოლიტიკური დევნა ხომ არ არის, ეს ოხერი?!**

## „ჭიაბერაშვილი დამშვიდდეს, გაუფრთხილდეს საკუთარ ჯანმრთელობას“ — ხუნდაძის რჩევა „ენმ“-ს წევრს



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის – ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბიუჯეტში მხოლოდ ერთი კვირის თანხაა დარჩენილი, რაც, მისი თქმით, მედპერსონალის ხელფასების გაუცემლობას, სამედიცინო მომსახურების ხარისხის დაქვეითებასა და პაციენტების მიერ ჯიბიდან გადახდების ზრდაში აისახება. (ნიუპოსტი)



„ნაციონალური მოძრაობის“ ბრალდებებს, თითქოს მედპერსონალის ნაწილს უხელფასოდ მუშაობა ემუქრება, პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე გამოეხმაურა.

ხუნდაძე ოპოზიციას საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაში ადანაშაულებს.

ჯანდაცვის კომიტეტში ირწმუნებიან, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას არანაირი საფრთხე არ ემუქრება.

– კორექტირებული ბიუჯეტი მიიღო პარლამენტმა, დაამტკიცა. ახლა პრეზიდენტთან არის გადაგზავნილი, მოეწერება ხელი და მოხდება მისი გამოქვეყნება. ასე რომ, ჭიაბერაშვილი დამშვიდდეს, გაუფრთხილდეს საკუთარ ჯანმრთელობას და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე იზრუნოს არა ნეგატიური პოზიციიდან, არამედ დაანებოს თავი საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, – აღნიშნა თემის კომენტირებისას დიმიტრი ხუნდაძემ.

ხუნდაძის პოზიციას იზიარებენ ჯანდაცვის სამინისტროშიც. უწყებაში აღნიშნავენ, რომ ისინი ჭიაბერაშვილის განცხადებაზე კომენტარს მოგვიანებით გააკეთებენ.

**აჰა, როგორც იქნა, ველირსეთ, რომ ჭიაბერაშვილის ბრალდებებს პარლამენტიდან მაინც გამოეხმაურნენ, თუმცა სამინისტრო ისევ ჯიუტად იმეორებს — მოგვიანებით გავაკეთებთ კომენტარს, მოგვიანებით გავაკეთებთ კომენტარსო.**

**სწორედ ასე უთხრეს „ალიას“ რამდენჯერმე უწყებაში, როცა ჭიაბერაშვილის განცხადებებზე კომენტარი არაერთხელ ვთხოვეთ, მაგრამ აღარ დადგა ეს „მოგვიანებით“ და რა გავაკეთოთ?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გიორგი უძილაური „რუსთავი 2“-სა და „ტაბულას“: ფრთხილად იყავით!



ჟურნალისტი გიორგი უძილაური სუს-ის მიერ, ISIS-თან კავშირში ეჭვმიტანილი 4 პირის დაკავებას ეხმიანება და აღნიშნავს, რომ გარკვეული ტელევიზიები ამ თემას არასათანადოდ აშუქებენ.

– ISIS-თან კავშირში მყოფი ოთხი ახალგაზრდის აყვანის შემდეგ „ტაბულა“ და „რ2“-ი აპიარებენ დაკავებულთა მშობლებს, რომლებიც ამბობენ: სუს-მა ჩვენს შვილებს ხალიფატის დროშები ჩაუდესო. ანუ, სუს-ი თურმე ჩაგრავს და უმიზეზოდ აკავებს ISIS-თან კავშირში ეჭვმიტანილებსო...

„რ2“, „ტაბულა“! ფრთხილად იყავით, ხელისუფლების სიძულვილმა, „ნაცების“ გარდა, ISIS-ის პიარშიკებადაც არ გადაგაქციოთ

საუბრის დასასრული... – წერს უძილაური. (ნიუპოსტი

## ნატო ავღანეთში მისიას 2016 წლის ბოლომდე გააგრძელებს



ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა 2016 წლის ბოლომდე ავღანეთში მისიის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ამის თაობაზე ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა.

– ჩვენი გადაწყვეტილებით, ავღანეთში ინსტრუქტორებისა და მრჩევლების მისია 2016 წლის ბოლომდე გაგრძელდება. გარდა ამისა, დავიწყებთ ავღანეთის არმიისთვის ფინანსური რესურსების მოზიდვის კამპანიას, ვინაიდან ავღანეთი 2018 წლის შემდეგ საკუთარ ჯარს დამოუკიდებლად ვერ დააფინანსებს, – განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

ორი თვის წინ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ასევე განაცხადა, რომ აშშ 2016 წლის ბოლომდე ავღანეთში 9 800 სამხედრო მოსამსახურეს დატოვებს ბაგრამის, ჯალალაბადის და ყანდაარის პროვინციებში. (kvira.ge))

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აფხაზეთს საქართველო სჭირდება, თქვენნაირ ნაძირალებს კი — ტრიბუნალი და ციხე!!!



– ოკუპირებულ აფხაზეთსა და რუსეთს შორის ერთიანი სამხედრო დაჯგუფების შექმნა, პირველ რიგში, აფხაზეთს სჭირდება, – ამის შესახებ სააგენტო „სპუტნიკს“ ე.წ. თავდაცვის მინისტრმა მერაბ ქიშმარიამ განუცხადა.

– ეს ხელშეკრულება ჩვენი რესპუბლიკის უსაფრთხოების კუთხით ახალ პერსპექტივებს ქმნის. არის ხელშეკრულება, რომელიც მანამდე იყო ხელმოწერილი, მაგრამ მასში აფხაზეთისა და რუსეთის ერთობლივი ქმედებები სრულად გათვალისწინებული არ ყოფილა. ამის გარეშე კი აფხაზეთის არმიის მოდერნიზება და მისი დაფინანსების გაზრდა შეუძლებელია, – აცხადებს ქიშმარია.

მისი თქმით, დოკუმენტის ხელმოწერა ოკუპირებული აფხაზეთის წინააღმდეგ აგრესიის ერთობლივ მოგერიებას გულისხმობს. გარდა ამისა, აფხაზი ოფიცრები მომზადებას რუსულ ჯარში გაივლიან. ასევე ე.წ. თავდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ აუცილებლობის შემთხვევაში გაერთიანებულმა დაჯგუფებამ აფხაზეთის ფარგლებს გარეთ საომარ მოქმედებებში შეიძლება მიიღოს მონაწილეობა. (kvira.ge)

## იან კელი ISIS-თან კავშირში ეჭვმიტანილი ოთხი პირის დაკავების ფაქტს ეხმაურება



საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი იან კელი „ისლამურ სახელმწიფოსთან“ შესაძლო კავშირისთვის ოთხი პირის დაკავების ფაქტს ეხმაურება.

როგორც ელჩი განმარტავს, საზღვრის უსაფრთხოების გაუმჯობესების თვალსაზრისით ქვეყანაში ბევრი რამ კეთდება. მისივე თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის, მხარი დაუჭიროს საქართველოს, უზრუნველყოს მოქალაქეების უსაფრთხოება.

– საქართველოს სახიფათო სამეზობლო ჰყავს, რაც კიდევ უფრო აუცილებელს ხდის საზღვრის მიღმა თანამშრომლობას. ბევრი რამ კეთდება საზღვრის უსაფრთხოების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მაგალითად, ინფორმაციის გაცვლის კუთხით ჩამოყალიბებულია თანამშრომლობა. აშშ მზად არის, მხარი დაუჭიროს საქართველოს, უზრუნველყოს მოქალაქეების უსაფრთხოება, – განაცხადა ელჩმა. (kvira.ge)

1. თვითმფრინავიდან გადმოსახტ. საშუალება
2. ლაჩარი
3. უანგარო დახმარება
4. კაციჭამია
5. ეთერზეთოვანი მცენარე
6. უქორწინო თუთიყუში
7. ლუი დე ფიუნესი ფილმში „... და უცხოპლანეტელები“
8. ზღვა იტალიასთან
9. უმაღლესი სპორტ. მიღწევა
10. კუნძული ჩინეთის მახლობლად
11. ზღვის ქვიშიანი სანაპირო
12. ფრინველი მარაოს ფორმის კუდით
13. მხ/ფ „ბორნის ...“
14. სისხლძარღვი
15. ... ხაჩატურიანი
16. ფეხბურთელი ლუიშ ...
17. ნახატი-შარჟი
18. ჭავჭავაძ. „... ადამიანი?!“
19. მსახიობი ქეით ...
20. მაღალი სამხედრო წოდება
21. პატარა ტანის მტაცებელი ცხოველი
22. მათემატიკური გამოსახულება
23. ქალაქი დას. საქართ.
24. მწერალი ტომას ... რიდი
25. ქალაქი ბელგიაში
26. სათევზაო საშუალება
27. მდინარე ციმბირში
28. ექსპრომტი
29. მულტიპლიკატორი უოლტ ...
30. თეატრის სცენის განათება
31. იმრე კალმანის ოპერეტა
32. ნიშნავს საწინააღმდეგოს
33. კუზიანი ცხოველი
34. ოჯახი (მოძვ.)
35. სასიმინდე
36. კრივის გასამართი ადგილი
37. მხ/ფ „ჩემი მეგობარი ...“
38. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
39. ნიშნავს ჩირქოვანს
40. გამოკლების ნიშანი
41. რითი ღეჭავენ საჭმელს
42. წნეხი
43. სასვენი ნიშანი
44. ქალაქი აფხაზეთში
45. მომღერალი ენრიკე ...
46. ფიდელ კასტროს ყოფილი პრეზიდენტი მაქს ...
47. ფასიანი ქაღალდი
48. დახურული ავტომობილის ტიპი
49. მოცარტის მოქიშპე კომპოზიტორი
50. ყანწის მასალა
51. იაპონური ჭადრაკი
52. გულიანი ნამცხვარი
53. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
54. საშარდე ბუშტის ანთება
55. საქართველო მუსიკ. საკრავი
56. მხატვარი პოლ ...
57. ფიზიკოსი ლევ ...
58. საფრენი აპარატი. ავსებდნენ წყალბადით, შემდეგ კი ჰელიუმით
59. ალქიმიკოსების უებარი წამალი
60. სანელებელი
61. ანტილოპას სახეობა
62. მხ/ფ „... ტანგო პარიზში“
63. მუსიკალური თანხლება
64. აირისთვის სუნის მიმცემი
65. ზღვის ღმერთი ბერძ.მით.
66. ძეგლების გაფუჭება, ანუ ...
67. მსახიობი კერი-... მოსი
68. იოლი, ანუ ...
69. მონადირე ფოტოგრაფი
70. რეჟისორი ... ტარანტინო
71. თაღი
72. მდინარე ჩინეთში
73. ქალაქი გერმან. ...-ბადენი
74. ამერიკელების მეტსახელი
75. ნახ. კუნძული ევროპაში
76. ბურატინოს მტერი ...-ბარაბასი
77. მსახიობი ბრედ ...
78. უფულოდ წაღებული პროდუქტი
79. მხატვარი პოლ ...
80. არასრული, ზედაპირული
81. პაულო კოელიოს ნოველა
82. სკანდინაველთა ღმერთი
83. მსახიობი ანჯელინა ...
84. ქიმიური ჭურჭელი
85. ცეკვა „მულენ-რუჟში“
86. მსახიობი ... დიასი
87. მხიარული სიცილი
88. ხელოვნური ენა
89. დაწუნებული საქონლის დაბრუნება
90. კარგი ჯანის ქონა
91. მსახიობი ... დეპი
92. პოეტი აკაკი ...
93. გლაზგოს საფეხბ. კლუბი
94. ლიმონი, მანდარინი
95. ფიქრები მომავალზე
96. ძლიერი ცეცხლი
97. ჯუზეპე ვერდის ოპერა
98. ქალაქი აშშ-ში
99. იალქანი
100. სახალხო პოეტი აღმ. ქვეყნებში
101. მსახიობი ... გიბსონი
102. რუსი კომპოზიტორი
103. მსახიობი ... კეიჯი
104. თავდავიწყების მდინარე ბერძ.მით.
105. მწერალი ჟორჟ ...
106. მიბაძვა, შეცვლა
107. ყვავილი
108. ბოსტნის მავნებელი მწერი
109. მალამოს დასამზად. ნივთიერება
110. კათოლიკური ეკლესიის მღვდელი
111. ნახატებიანი თავსატეხი
112. თქმულება ღმერთებზე
113. შესაძლებლობა
114. აზოტშემცველი სასუქი
115. რეჟისორი ... დე სიკა
116. ჯუჯა ჟირაფი
117. ისრაელში დაბადებული ებრაელი
118. ნაჯახი
119. ქალაქი ესტონეთში
120. ძაღლის ჯიში
121. ყვითელი საიუველირო ქვა
122. გარეული ღორი
123. ბოსტნეული
124. მტაცებელი კატისებრ. ოჯახიდან
125. ნიდერლანდელი ფერმწერი იერონიმუს ...
126. ქოქოსის გული
127. სიმინდის ყვავილედი
128. მსახიობი ... ბანდერასი
129. რობაქიძე. „... პერანგი“
130. ქაღალდი ძველ ეგვიპტეში
131. ... არაბეთს როსტევან
132. ფირნიში
133. საკონდიტრო სანელებელი
134. ფრანგული ხურდა ფული
135. ჭირი ..., ლხინი აქა
136. კვერცხის თეთრი შიგთავსი
137. მატყუარა
138. მხ/ფ „... სახელით“
139. დიუმა. „დედოფალი ...“
140. იტალიური ავტომობილი
141. მოკრივე კასიუს ...
142. სახოტბო ლექსი
143. შოკოლადის ხის ნაყოფი



პასუხები: 1. პარაშუტი; 2. მშიშარა; 3. ქველმოქმედება; 4. კანიბალი; 5. ლავანდა; 6. არა; 7. ჟანდარმი; 8. ადრიატიკა; 9. რეკორდი; 10. ტაივანი; 11. პლაჟი; 12. ფარშევანგი; 13. იდენტიფიკაცია; 14. არტერია; 15. არამ; 16. ფიგუ; 17. კარიკატურა; 18. კაცია; 19. უინსლეტი; 20. მარშალი; 21. ენოტი; 22. ფორმულა; 23. ვანი; 24. მაინ; 25. იპრი; 26. ბადე; 27. ენისეი; 28. კაფია; 29. დისნეი; 30. რამპა; 31. „სილვა“; 32. ანტი; 33. აქლემი; 34. კერია; 35. ნალია; 36. რინგი; 37. ნოდარი; 38. სირ; 39. პიო; 40. მინუსი; 41. კბილი; 42. პრესი; 43. ტირე; 44. გალი; 45. იგლესიასი; 46. ეივე; 47. ობლიგაცია; 48. სედანი; 49. სალიერი; 50. რქა; 51. გო; 52. ქადა; 53. ინდიგო; 54. ცისტიტი; 55. ლიტავრა; 56. გოგენი; 57. ლანდაუ; 58. დირიჟორი; 59. პანაცეა; 60. დაფნა; 61. გნუ; 62. უკანასკნელი; 63. აკომპანემენტი; 64. ოდორანტი; 65. პოსეიდონი; 66. ვანდალიზმი; 67. ენ; 68. ადვილი; 69. პაპარაცი; 70. კვენტინ; 71. არკა; 72. იანძი; 73. ბადენ; 74. იანკი; 75. სკანდინავია; 76. ყარაბას; 77. პიტი; 78. ნისია; 79. სეზანი; 80. ზერელე; 81. „ალქიმიკოსი“; 82. ოდინი; 83. ჯოლი; 84. სინჯარა; 85. „კანკანი“; 86. კამერონ; 87. კისკისი; 88. იდო; 89. რეკლამაცია; 90. ჯანმრთელობა; 91. ჯონი; 92. წერეთელი; 93. „სელტიკი“; 94. ციტრუსი; 95. ოცნება; 96. ხანძარი; 97. „ტრავიატა“; 98. სიეტლი; 99. აფრა; 100. აკინი; 101. მელ; 102. სვირიდოვი; 103. ნიკოლას; 104. ლეთე; 105. სანდი; 106. იმიტაცია; 107. ია; 108. მახრა; 109. ვაზელინი; 110. კიურე; 111. რებუსი; 112. მითი; 113. უნარი; 114. ნიტრატი; 115. ვიტორიო; 116. ოკაპი; 117. საბრა; 118. ცული; 119. ნარვა; 120. ლაიკა; 121. ქარვა; 122. ტახი; 123. ხახვი; 124. ავაზა; 125. ბოსხი; 126. კოპრა; 127. ტარო; 128. ანტონიო; 129. გველის; 130. პაპირუსი; 131. იყო; 132. აბრა; 133. ვანილი; 134. სუ; 135. იქა; 136. ცილა; 137. ცრუ; 138. ვარდის; 139. მარგო; 140. „ფიატი“; 141. კლეი; 142. ოდა; 143. კაკაო. იკითხება: ფლამენკო.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

## ,,საჭმელი ასფალტიდან“, ანუ რას ვჭამთ?



საკვები პროდუქტებითა და სასმელი წყლით გადამდები დაავადებებით, მსოფლიოში ყოველწლიურად 2,2 მილიონი ადამიანი იღუპება (მათი უმრავლესობა ბავშვია). სად და რა პირობებში იყიდება საკვები პროდუქტები საქართველოში? არსებული ვითარება ბევრ ადგილას საგანგაშო და ჯანმრთელობისთვის საშიში აღმოჩნდა....

„დეზერტირების“ ბაზრობაზე ერთ-ერთ დახლ-მაცივარში, სადაც ხორცს ინახავდნენ, ბინძური სასწორი იდგა. იქვე მდებარე გოჭის ხორცით სავსე რამდენიმე მაცივარი, სხვადასხვა ტემპერატურულ რეჟიმზე მუშაობდა. გამყიდველის თქმით, თუ პროდუქცია ერთ დღეში ვერ გაყიდა, მეორე დღეს 1 გრადუსით ნაკლებ ტემპერატურაზე შეინახავს. ერთი სიტყვით, ამ ბაზრობაზე ხორცის მუდმივი ტემპერატურული რეჟიმის დაცვა აუცილებელი არ ყოფილა. არა და არსებობს სტანდარტი, რომლის მიხედვით, ხორცის შენახვის ვადა 48 საათია, ხოლო ტემპერატურა – 2-6 გრადუსი. ხორცის ნაჭერი ისე უნდა ეკიდოს, რომ ჰაერმა იმოძრაოს და ის გარკვეულ ტემპერატურულ რეჟიმში უნდა ინახებოდეს.

ერთ-ერთ დახლ-მაცივარში საქონლის ხორცს ბინძური დოლბანდი ჰქონდა გადაფარებული. ხორცის საჭრელი დაფა, სადაც ძვლიან ნაჭრებს ჭრიან, ჩიტის „სკლინტებით“ იყო დასვრილი. სურსათის უვნებლობის სტანდარტის მიხედვით, აუცილებელია, მწერებისა და მღრღნელების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების უზრუნველყოფა სავაჭრო ობიექტის ადმინისტრაციის მიერ. როგორც ჩანს, დეზერტირების ბაზრის ხელმძღვანელ პირებს აღნიშნული სტანდარტის შესახებ არაფერი სმენიათ.

ერთ-ერთი დახლის უკან, ხორცის ნაჭერი, პირდაპირ ნაგვის ურნასთან იყო ჩამოკიდებული. როგორ გამყიდველმა განმარტა, ხორცი გარეცხა და ურნასთან დროებით დაკიდა.

ბევრად მძიმე ვითარებაა თამარ მეფის გამზირსა და წინამძღვრიშვილის ქუჩის კვეთაზე მდებარე ე.წ. არკაში, სადაც ყველანაირი პროდუქცია იყიდება. ამ ტერიტორიაზე არსებული ერთ-ერთ ხორცის მაღაზიაში საქონლის ხორცი პირდაპირ სამაცივრე დახლის ზემოდან ჰქონდათ შემოწყობილი.

უკეთესი მდგომარეობა არც ნავთლუღის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზეა. ბოსტნეულს, ხილსა და რძის ნაწარმს აქ პირდაპირ ასფალტიდან სთავაზობენ მყიდველს. თუმცა, არსებული სტანდარტით, იკრძალება იატაკზე დავარდნილი, ან სხვა გზით დაბინძურებული საკვები პროდუქტის გაცემა. დეზერტირებს ბაზრობის მსგავსად, ნავთლუღის ბაზრობაზეც ხორცპროდუქტები ტემპერატურული რეჟიმის დარღვევით, ღია სამაცივრე დახლებიდან იყიდება.

შენახვის პირობების დარღვევით გაყიდულმა საკვებმა პროდუქტებმა, შესაძლოა, თქვენს ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე შეუქმნას. სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ ასეთმა რისკმა, შესაძლოა, ფატალური შედეგებიც გამოიწვიოს.

ლია გოლიაძე, ექიმი ინფექციონისტი: „თქვენ შეგიძლიათ, მიმართოთ ნებისმიერ საავადმყოფოს, რომელსაც „ემერჯენსები“ აქვთ და იკითხოთ, რამდენი პაციენტი მიდის მათთან კვებითი ტოქსიკოინფექციით და გიპასუხებენ – ძალიან ბევრი“

ხელმისაწვდომი ფასის გამო, მოსახლეობა ხშირად სწორედ ასეთ ადგილებში ყიდულობს პროდუქციას, თუმცა შესაძლო რისკებზე ცოტა თუ ფიქრობს. (bpn)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

## რა ანადგურებს ჩვენს ჯანმრთელობას?!



ფოტო-ვიდეომასალის ხშირად ნახვა მხოლოდ გუნება-განწყობილებას კი არ წაახდენს, არამედ საკმაოდ არასასიამოვნო დაავადებასაც გამოიწვევს.

პოსტტრავმული სტრესის სიმპტომები:

ტრავმის გონებაში კვლავ ცოცხლად აღდგენა – შეგრძნება, რომ თითქოს ტრავმული შემთხვევა ისევ მეორდება;

ცუდი სიზმრები და კოშმარები;

უცაბედი შეშინება ხმაურზე, ან მოულოდნელად უკნიდან ვინმეს მოახლოებაზე;

ემოციური არასტაბილურობა და ოფლიანობა;

გულისცემის გაძლიერება, ან სუნთქვის გაძნელება;

ხედვით, სმენით, ყნოსვით, გემოთი და სხვა შეგრძნებებით განცდილი ტრავმის გახსენება, რითაც მსხვერპლს კვლავ გუნება-განწყობილება უფუჭდება;

აფორიაქება ან შიში – ისეთი შეგრძნება, თითქოს საშიშროება კვლავ უნდა განმეორდეს;

ტრავმის ნებისმიერ შეხსენებაზე მოულოდნელად აფორიაქების, განრისხების ან გუნების გაფუჭების გამო, საკუთარი ემოციების მოთოკვის პრობლემა;

სირთულეები გონების კონცენტრირებასთან ან საღად აზროვნებასთან დაკავშირებით;

ჩაძინებასთან ან ძილის პროცესთან დაკავშირებული პრობლემები;

მღელვარება და გამუდმებით საშიშროების მოლოდინი;

ემოციურად დათრგუნვა, ან ინდიფერენტულობა;

სხვების მიმართ სიყვარულის განელება, ან საერთოდ გრძნობების გამოხატვაში ინერტულობა;

ისეთი შეგრძნება, თითქოს გარშემომყოფნი უცხონი, ან არარეალური ადამიანები არიან;

იმ საქმეებისადმი ინტერესის დაკარგვა, რომლებიც ადრე საინტერესო იყო;

ტრავმული სიტუაციიდან მნიშვნელოვანი მომენტების გახსენების პრობლემა;

ირგვლივ არსებული სამყაროსა და მოვლენებისგან გარიყულობის გრძნობა. (ივერიონი)

ვინც სოციალურ ქსელებში ხშირად ათვალიერებს შემზარავ ან აგრესიულ ტექსტებს, ფოტოებსა და ვიდეოებს, სერიოზულად რისკავს: ასეთ ადამიანებს, შესაძლოა, პოსტტრავმული სტრესული აშლილობის სიმპტომები გამოუვლინდეთ.

ექიმების სამუშაო სწორედ იმ მიზეზით მიიჩნევა რთულად, რომ მათ მუდმივად ხალხის ტანჯვასთან უშუალო შეხება უწევთ. თუმცა, ექიმობა და სხვისი წამების უშუალოდ ნახვა არ არის აუცილებელი იმისთვის, რომ ეს ტანჯვა, გარკვეულწილად, თქვენც გადმოგედოთ...

აღნიშნულ თემას სპეციალური კვლევა მიეძღვნა, რომელიც ახლახან მეცნიერებმა ბრიტანეთის ფსიქოლოგიური საზოგადოების ყოველწლიურ კონფერენციაზე წარადგინეს. ექსპერიმენტში მამაკაცებისა და ქალების თანაბარი რაოდენობა მონაწილეობდა. არც ერთ მათგანს წარსულში სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემა არ ჰქონია. მოხალისეებს პერიოდულად უჩვენებდნენ სოციალურ ქსელებში გავრცელებულ შემზარავ ვიდეორგოლებსა და ტექსტებს: ტყუპი ცათამბჯენის ჩამოშლას, სკოლებში ატეხილ სროლას, თვითმკვლელების აფეთქებას და ა.შ.

კვლევის ბოლოს მონაწილეებმა პოსტტრავმული სტრესული აშლილობის სიმპტომების კითხვარი შეავსეს. მოხალისეთა 22 პროცენტს ჩამოთვლილ სიმპტომთა უმრავლესობა აღენიშნებოდა. ისინი ტრაგედიის მსხვერპლთ თანაუგრძნობდნენ და ნაწილობრივ თავადაც მსხვერპლად გრძნობდნენ თავს. რაც უფრო ხშირად ხედავდნენ ადამიანები კრიმინალურ შეტყობინებებს, მით უფრო ძლიერი ხდებოდა მათზე ზემოქმედება.

სპეციალისტები აღიარებენ, რომ შემზარავი სიახლეების თვალიერების აკრძალვა უაზრობაა, მაგრამ მოსახლეობას მაინც შეახსენებენ, რომ ინტერნეტში ნეგატიური ტექსტებისა თუ

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საწვავზე კონტროლი გაისად დაიწყება, მანქანებზე — 2 წლის შემდეგ



მომავალი წლიდან ნავთობპროდუქტების ხარისხზე სახელმწიფო კონტროლი დაწესდება. საწვავის ხარისხის კონტროლს ამ დროისთვის არც ერთი უწყება არ ახორციელებს და პროდუქციის შემოწმება თავად ბიზნესის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

2016 წლიდან საწვავის შესაბამისობას, კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან, გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს დაცვითი ზედამხედველობის სამსახურში არსებული დეპარტამენტი განახორციელებს. დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, კომპანიები 8-დან 10 ათას ლარამდე დაჯარიმდებიან. სამინისტრო საწვავის ხარისხის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმს შემოიღებს და ავტოგასამართი სადგურების ეკომარკირება გაყიდული საწვავის ხარისხის მიხედვით მოხდება.

„გარემოს დაცვის თანამშრომლები ნავთობგასამართი სადგურებიდან და ნავთობბაზებიდან სინჯებს აიღებენ, რომლებიც აკრედიტებულ ლაბორატორიაში გაიგზავნება, მიღებული შედეგები კი ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისთვის, თუ დარღვევა იქნება, შესაბამისი სანქციები გატარდება, თუმცა მთავარი მიზანია არა ბიზნესის შევიწროება, არამედ ის, რომ მოსახლეობას ჰქონდეს რეალური ინფორმაცია და უკეთესად გაიგოს უფრო ეკოლოგიურად სუფთა საწვავის მოხმარების აუცილებლობა“, – ამბობს გარემოს დაცვის სამინისტროს ატმოსფერული ჰაერის დაცვის მთავარი სპეციალისტი ნოე მეგრელიშვილი.

საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, 2015 წელს 3-ჯერ შემცირდა გოგირდის შემცველობა ბენზინში და „ევრო-4“-ის სტანდარტს გაუთანაბრდა, 2016 წლიდან ბენზოლი და არომატული ნახშირწყალბადები უნდა გაუტოლდეს „ევრო-5“-ის სტანდარტს, 2017 წელს კი გოგირდი კვლავ 5-ჯერ უნდა შემცირდეს, რათა შესაბამისობაში მოვიდეს „ევრო-5“-ის სტანდარტთან. ასევე, დიზელის საწვავთან დაკავშირებით, 2016 წლიდან 50 ერთეულით უნდა შემცირდეს გოგირდის შემცველობა.

„ჩვენ მივმართეთ სახელმწიფოს, რათა საწვავის ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული მექანიზმები შეიმუშაოს და განახორციელოს. ჩვენთან იყიდება როგორც ევროპული სტანდარტის საწვავი, რომელიც წარმოდგენილია „პრემიუმის“, „სუპერისა“ და „ევროდიზელის“ სახით, ასევე „რეგულარი“, რომელიც „ევრო-4“-ის სტანდარტისაა. იყიდება დიზელის საწვავიც, რომელიც ჩვენი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია. თუმცა არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სავაჭრო ქსელში იყიდება პროდუქტი, რომელშიც გოგირდის შემცველობა დასაშვებზე მეტი მოცულობისაა და შესაბამისად, ეს არის არასტანდარტული, უხარისხო საწვავი, რომლის გავლენაც ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე მკვეთრად უარყოფითია. გვაქვს ინფორმაცია, რომ უხარისხო პროდუქტი ქსელში ნამდვილად იყიდება, თუმცა აქვე დავსძენ, რომ ამის მასშტაბები საგანგაშო არ არის. ამიტომაც უნდა მოვახერხოთ პრევენცია, რომ უხარისხო პროდუქტი ბაზარზე აღარ მოხვდეს. ქვეყანაში ძალიან მოიმატა სატრანსპორტო საშუალებების რიცხვმა, საწვავის მოხმარებაც მატულობს, იმპორტიც და იქმნება საშიშროება, რომ უხარისხო საწვავის რაოდენობაც გაიზარდოს. ამიტომაც სასურველია, რომ ქართულ ბაზარზე სარეალიზაციოდ გამოტანილი პროდუქტი მინიმალურ ნორმებს მაინც შეესაბამებოდეს, რაც ჩვენი მთავრობის მიერ არის დადგენილი“, – აცხადებს ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი.

საწვავის ხარისხთან ერთად, საქართველოსთვის კიდევ ერთი დიდი პრობლემაა ავტომობილების სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება და მოძველებული ავტოპარკი. საქართველოში საავტომობილო პარკის 91% 10 წელზე მეტი ასაკისაა.

დღეს მოქმედი კანონმდებლობით, 3 ტონა სრული მასის ზევით ყველა ტრანსპორტი ექვემდებარება ტექნიკურ დათვალიერებას, მათ შორის არიან ავტობუსები, მიკროავტობუსები, სატვირთოები. მსუბუქი ავტომობილები არ ექვემდებარება სავალდებულო ტესტირებას, ასეთი ავტომობილები კი მთლიანი ავტოპარკის დაახლოებით 85%-ს შეადგენს.

„120 ათასი ტრანსპორტია, რომელიც უნდა გადიოდეს ტესტირებას, მაგრამ გადის, მხოლოდ, დაახლოებით, 20 ათასი. ყველა ასეთ სატრანსპორტო საშუალებას ფირნიში უნდა ჰქონდეს მიკრული საქარე მინაზე, ვადაგადასული ფირნიშის შემთხვევაში პატრული უნდა აჩერებდეს და აჯარიმებდეს“, – ამბობს ტესტირების ცენტრების გაერთიანების თავმჯდომარე ვაჟა იორდანიშვილი.

კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ტექდათვალიერება სავალდებულო გახდება 2017 წლის დეკემბრიდან. სავარაუდოდ, სწორედ ამ პერიოდიდან იგეგმება ძველი ავტოპარკის საკითხის დარეგულირება. როგორ და რა მეთოდით აპირებს მთავრობა ასაკოვან მანქანებზე შეზღუდვის დაწესებას, ეს ჯერჯერობით ცნობილი არ არის. (for.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## უფასო სასადილოებში მოსიარულეთა რიცხვი 22 704-დან 26 000-მდე გაიზარდა




თბილისის საკრებულოს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის, სევდია უგრეხელიძის განცხადებით, ბენეფიციართა რაოდენობა იზრდება. უგრეხელიძემ ამის დამადასტურებლად კონკრეტული რიცხვები გამოაქვეყნა. ის ამბობს, რომ 2014 წელს ბენეფიციართა რაოდენობა 13 000 იყო, 2015 წელს კი 22 704-ით დაიწყო და 26 000-ით დასრულდა. უგრეხელიძის განცხადებით, მომდევნო წელი 32 000 ბენეფიციარზე იგეგმება. იგი 3 წლის ვადით ტენდერების გაფორმების შესახებაც საუბრობს და აცხადებს, რომ არასწორია, როცა სამი წლით ადრე გეგმავ, რა უნდა ღირდეს ერთი ბენეფიციარის გამოკვება. ამის მიზეზად სევდია უგრეხელიძე სავალუტო კრიზისს ასახელებს. ის ამბობს, რომ წინა ხელისუფლების დროს ერთი ბენეფიციარის კვებისთვის 69 ცენტი იყო გამოყოფილი, ახლა კი 48 ცენტია. (pirveli radio)

## „ივანიშვილი ბურჭულაძეს პრეზიდენტობას სთავაზობდა“



„ჩვენ გვინდოდა ტანდემის შექმნა ივანიშვილ-ბურჭულაძისგან და მისი პოზიცია უნდა ყოფილიყო საპრეზიდენტო კანდიდატობა. გვქონდა გარკვეული საუბრები, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ეს ვერ შედგა“, – აცხადებს ბიძინა ივანიშვილის ყოფილი მრჩეველი გია ხუხაშვილი. მან ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისას პაატა ბურჭულაძესთან კოალიციაში შესვლასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები პერიოდი გაიხსენა. თუმცა დეტალები არ დაუკონკრეტებია, მაგრამ თქვა, რომ ივანიშვილი ბურჭულაძეს პრეზიდენტობას სთავაზობდა. ექსპერტის განცხადებით, მაშინ იყო ბრძოლის ეტაპი და სასწორზე იდო ყველაფერი. ხუხაშვილის თქმით, სწორედ ამიტომ, ბურჭულაძემ ვერ გარისკა, დღეს კი ვითარება რადიკალურად შეცვლილია და რისკებიც კეთილდღეობის დაკარგვისა არ არსებობს.

„მას ჰქონდა გარკვეული კეთილდღეობის ხარისხი, რისკის ქვეშ დგებოდა, რომ მას ყველაფერი დაეკარგა. დღეს ასეთი რისკი არ არსებობს. ბუნებრივია ყველას ვერ მოვთხოვთ ჩვენ გმირობას, არც ვთვლიდი არასდროს, რომ პაატა ბურჭულაძე გმირი იყო“, – განაცხადა ხუხაშვილმა.

მისივე თქმით, ბიძინა ივანიშვილმა ნდობის კრედიტი დიდწილად მიმოფანტა. ის ექსპრემიერის იმ განცხადებას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც, ივანიშვილი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში აქტიურად ჩართვას გეგმავს. ექსპერტი ამბობს, რომ დღეს წინა არჩევნებისგან განსხვავებით, ვითარება შეიცვალა და ივანიშვილს ხალხის ნდობის მოპოვება მხოლოდ დაპირებებით გაუჭირდება. მისივე თქმით, ახალი ხელისუფლების 3-წლიანი მმართველობისას საზოგადოებაში ივანიშვილის დაპირებების დევალვაცია მოხდა, რადგან საზოგადოების დიდი ნაწილი თვლის, რომ წინასაარჩევნო დაპირებები ბიძინა ივანიშვილმა არ შეასრულა. (pirveli radio)



ნინო ლაგარტყავა

571 99-92-33

**„ალიას“ საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი, ალექსანდრე ქანთარია ალექსანდრე ქანთარია ესაუბრა:**

**— არაერთხელ გითქვამთ პარლამენტში, ხალხი სამართლიანობის აღდგენას ითხოვს, სამართლიანობის აღდგენა გვიანდებაო. რის თქმას აპირებთ ახალ პროკურორზე, იგივე მოთხოვნას დაუყენებთ?**

– პროცესი დაწყებულია, უბრალოდ, იმ ტემპით არ მიდის, რასაც ჩვენი საზოგადოება ელოდება. როცა ირაკლი შოთაძე ჯერ კიდევ არჩეული არ იყო, მაშინ ვუთხარი, საზოგადოებას აქვს რწმენა, რომ კიდევ ძალიან ბევრი დაუსჯელი დადის, მათ შორის, ისინი, რომლებიც პარლამენტს არიან დღეს შეფარულები და რომელთა გარეშეც არ დაიგეგმებლობას ჩვენც ვიღებთ და ეს ჩვენზეც არის გადანაწილებული-მეთქი. ასე რომ, მე ძალიან ყურადღებით ვადევნებ თვალს ბატონ შოთაძეს.

**— იმაზე თუ ესაუბრეთ შოთაძეს, რომ ხშირად არის შემთხვევები, როცა მოქალაქის მიერ პროკურორის წინააღმდეგ დაწერილი საჩივარი თავად ამ პროკურორს უბრუნდება რეაგირებისთვის, ვინც მას უსამართლოდ მოექცა?**

– როგორც მე ვიცი, რამდენიმე პროკურორი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

**— დიახ, მაგრამ ჩვენ არ ვიცით მათი სახელები და გვარები, არ ვიცით, რის გამო და რატომ მოხდა თანამდებობიდან მათი განთავისუფლება და საერთოდ, მართლაც განთავისუფლდნენ? ჩვენ გვახსოვს მერაბიშვილი რომ გამოვიდა და თქვა, 26 მაისს ვინც ძალაუფლებას გადაამეტა, ის პოლიციელები დავითხოვეთო. მერე აღმოჩნდა, რომ მოგვატყუა და ყველა აგრძელებდა**

კვირას არა, მაგრამ გარკვეული მონაკვეთის შემდეგ, ან მას შემდეგ, თუ რაიმე მოვლენას მისი ახსნა დასჭირდება, ბუნებრივია, მას მოვიწვევთ და ჩვენი ინტერესი დაკმაყოფილდება, თავის სათქმელს იტყვის. ჩემი აზრით, მთავარი პროკურორი ჯერ იმას შეეცდება, რომ შიგნით მდგომარეობა დაალაგოს.

**— საშუალო პერიოდი რომ ავიღოთ, მთავარ პროკურორს ორი-სამი თვე არ ეყოფა კონკრეტული საქმეების გასაკეთებლად, თუნდაც „ზონდერი“ პროკურორებისგან უწყების გასაწმენდად, რომ პარლამენტში მოიწვიოთ ანგარიშის წარსადგენად?**

– რა თქმა უნდა... მომავალი წლის თებერვალ-აპრილში ჩვენ უკვე რაღაც სურათი უნდა დავინახოთ, საით მიდის საქმე, რა აქტიურობაა. ბუნებრივია, ამის მოთხოვნილება ყველას, პირველ რიგში, საზოგადოებას გაუჩნდება.

# რისთვის შეხვდა და რაზე ესაუბრა დეპუტატი ქანთარია მთავარ პროკურორს?





ბოდა არც 7 ნოემბერი, არც 26 მაისი და სხვა დანარჩენი გახმაურებული, სასტიკი საქმეები და რას აპირებდა. შოთაძე ფიქრობს, რომ პროკურატურა ნელ-ნელა წელში იმართება და თავის სახეს იძენს და შეეცდება, სამართალი თავის სიმაღლეზე დააყენოს.

**— „ოცნების“ წინა პროკურორებიც ზუსტად იმავე დაპირებებს იძლეოდნენ, რაც ბატონმა შოთაძემ გააჟღერა, რომ დაიწყებოდა და დაჩქარდებოდა სამართლიანობის აღდგენა, დამნაშავეები დაისჯებოდნენ, თუმცა ვნახეთ, რომ მათ, ფაქტობრივად, არაფერი გააკეთეს საამისოდ.**

– არა, ცოტა სხვადასხვა დროა... როცა კბილაშვილი დაინიშნა, აღმოჩნდა „ნაციონალური მოძრაობის“ ცხრაწლიან პროკურატურაში, რომლის დავალებების შემსრულებელი სასამართლო იყო. ვიცით ჩვენ, წინა პერიოდში დაადებდნენ პიროვნებას ხელს, წაიყვანდნენ და ეს პიროვნება სამ დღეში აღიარებდა იმას, რაც თავად უნდოდათ, თუნდაც ოქრუაშვილის მაგალითი ავიღოთ. ახლა სხვა მიდგომებია, ამ ბრალს დამტკიცება სჭირდება უკვე ფაქტებით, რასაც მაღალი კვალიფიკაცია და ენთუზიაზმი სჭირდება. მე ახალ პროკურორს ვუთხარი კიდეც, ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა, რაც თქვენ თავზე უნდა აიღოთ და ჩვენ რომ ხმას გაძლევთ, ბუნებრივია, თქვენთან ერთად ამ პასუხისმგე-

**მუშაობას. პროკურატურას რატომ უნდა ვენდოთ, ესაც ხომ დახურული სისტემაა.**

– როგორც შოთაძემ ახსენა, ბევრ პროკურორს განრიდებაც აქვს. მთავარი პროკურორი ვალდებული იქნება, წარდგეს პარლამენტის წინაშე და ანგარიში ჩააბაროს. მთელი რიგი გარკვეული ინსტანციები, ინსტრუმენტები შეიქმნა იმისთვის, რომ ეს ყველაფერი მაქსიმალურად ღია იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ყველას გვინდა, ეს პროცესები ელვის სისწრაფით განვითარდეს, როგორც ჩანს, ამას გარკვეული დრო მაინც დასჭირდება, მაგრამ მგონია, ტემპი გაცილებით დაჩქარდება და საზოგადოებისთვის ეს ცნობილი იქნება. მხოლოდ პროკურორების დასჯაზე ნუ ვიტყვით, ეს ასევე შეეხება წართმეული ქონების დაბრუნების საკითხებს, რაც ასე ადვილი არ არის, იმიტომაც გახანგრძლივდა ამდენი ხანი.

**— თქვენ რა მოლოდინი გაქვთ, რამდენ ხანში ელოდებით ტემპის დაჩქარებას და შედეგების დადებას და თუ თქვენი მოლოდინი არ გამართლდა, პასუხის მოსასმენად რამდენ ხანში აპირებთ შოთაძის პარლამენტში დაბარებას?**

– მახსოვს, ადრეც მოდიოდნენ პროკურორები პარლამენტში... შოთაძემ თავადაც აღნიშნა, რომ მას აქვს ამის ვალდებულება და მოვა პარლამენტში. ჩვენ ყოველ შაბათ-

**შოთაძის პირველ მოადგილეს, მამუკა ვასაძეს სამ გახმაურებულ საქმეში ედავებიან უკანონო მოქმედებაში: ვაზაგაშვილის საქმეში ბრალდებული მას ზეწოლაში ადანაშაულებს, იგივეში ადანაშაულებენ ბათუმის „ტვ 25“-ის და „ხოფის“ ბაზრობის საქმეში. თქვენ თვლით, რომ ასეთი პროკურორი სამართლიანობის აღდგენისთვის რამეს გააკეთებს?**

– როგორც ჩანს, ბატონ ირაკლის მიაჩნია, რომ მამუკა ვასაძე არის მისი თანამოაზრე, პროფესიონალი. მან იცის, რამხელა პასუხისმგებლობა აიღო თავის თავზე ექვსი წლის განმავლობაში. ის აუცილებლად შეეცდება, ნათესაობა, მეგობრობა გვერდზე გადადოს და გეზი პირდაპირ შედეგზე აიღოს. სხვა საქმეა, გამოუვა თუ არა მას ეს. მივცეთ მას მუშაობის საშუალება. ბევრი გახმაურებული საქმის მიმართ, რომელიც ჯერ კიდევ მიჩქმალულია, ძალიან დიდი მოლოდინები არსებობს, რომ ეს საქმეები ამოტივტივდეს, გაიხსნას და დამერწმუნეთ, ეს ადვილი არ იქნება, რადგან ზოგი რამდენიმე წელს ითვლის, მტვერი აქვს დადებული და ზოგი, ალბათ, გამქრალიც არის.

**— მთავარი პროკურორისთვის, ამ ეტაპზე, რა საკითხებია პრიორიტეტული, თქვენ რა გითხრათ?**

– მისი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი არის სამართლიანობის აღდგენის პროცესის გააქტიურება.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ტერაქტი სტამბულის მეტროში? — ერთი გარდაცვლილი და პარალიზებული ცენტრი



ოფიციალური ინფორმაციით, სტამბულის მეტროში, სადგურ „ბაირამ ფაშაზე“ მომხდარ აფეთქებას ერთი ადამიანი შეეწირა და ერთი დაიჭრა, რის გამოც მატარებლების მოძრაობა შეჩერდა. მეტროს გაჩერება და აფეთქების ადგილზე სამართალდამცავთა და სასწრაფო დახმარების მანქანების მობილიზებამ ქალაქის ცენტრის პარალიზება გამოიწვია.

ტელეარხ „ჰაბერ ტურკის“ ინფორმაციით, აფეთქების მიზეზი შესაძლოა, მეტროს ერთ-ერთ ტრანსფორმატორში გაჩენილი ხანძარი ყოფილიყო. ამის თქმის მიზეზს კი ის იძლევა, რომ ბაირამ ფაშას რაიონსა და მიმდებარე კვარტალებში ელექტროენერგიის მიწოდება შეწყვეტილია, თუმცა ტელეკანალ NTV-ს ინფორმაციით, სტამბულის მეტროში აფეთქების მიზეზი ბომბი იყო. ტელეარხის მტკიცებით, თვითნაკეთი ბომბი მეტროს გადასასვლელთან მდგომი მანქანის ქვეშ იყო დამონტაჟებული, თუმცა ბომბის აფეთქების ან ტერაქტის შესახებ ინფორმაცია ოფიციალურად არ დადასტურებულა. (პირველი რადიო)

## ადამ მიხნიკი — პუტინი რუსეთი არ არის, ის რუსეთის ავადმყოფობაა



„პოსტსაბჭოთა ქვეყნების წინაშე არსებული ერთი ყველაზე დიდი საფრთხე პუტინის იმპერიალისტური პოლიტიკაა, მეორე კი, ჩვენ თვითონ ვართ“, – ამის შესახებ პოლონელმა საზოგადო მოღვაწემ, ჟურნალისტმა და ისტორიკოსმა ადამ მიხნიკმა განაცხადა.

მიხნიკმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი ერთადერთი არაა, რომელიც ავტორიტარიზმით ხასიათდება: „პუტინი რუსეთი არ არის, ის რუსეთის ავადმყოფობაა. თუმცა ეს ავადმყოფობა სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებშიც შეინიშნება. ვლადიმერ პუტინმა იცის, რომ რუსეთში ერთგვარი შიშის ერთობა უნდა შექმნას. ის რუსეთს წარმოაჩენს, როგორც ციხე-სიმაგრეს, რომელიც გარშემორტყმულია მტრებით. არაფერს განსხვავებულს არ აკეთებს ვიქტორ ორბანი უნგრეთში, მაგრამ ყველაზე დიდი სხვაობა ამ ორ ადამიანს შორის ისაა, რომ ორბანი უნგრეთში არის უბედურება უნგრელებისთვის და პუტინი რუსეთში უბედურებაა მთელი მსოფლიოსთვის. ისეთი ქვეყნები კი, როგორც საქართველო და პოლონეთი არიან, დგანან კითხვის წინაშე — როგორ გავუმკლავდეთ პუტინის საფრთხეს? პირველ რიგში, ყურადღებით უნდა დავუკვირდეთ იმ მოწამლულ პროპაგანდას, რომელიც რუსეთიდან მოდის. ეს ეხება ინტელექტუალურ მე-5 კოლონას, რომელსაც ისინი ძალიან კარგად იყენებენ. მეორე, ჩვენ, საზოგადოებამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს არ არის კონფლიქტი რუს ხალხთან, ეს არის კონფლიქტი პუტინის დიქტატურასთან, რომელიც თავისი ხასიათით, თვითონ არის ღრმად ანტირუსული...

ასე რომ, მშვენიერი ხავერდოვანი რევოლუციების ეპოქის შემდეგ, ნელნელა შევდივართ ხავერდოვანი დიქტატურის ეპოქაში“, – განაცხადა მიხნიკმა. (ინტერპრესნიუსი)



1. ვალიკო მიზანდარის ძაღლი
2. მოხეტიალე ცირკის შენობა
3. ჩილეში: ავგუსტო ...
4. ბრიტანული ავტომობილი
5. ქალაქ ეკატერინბურგის სახელწოდება 1991 წლამდე
6. მაღალი ხმა გურულ სიმღერაში
7. ყაზახეთის დედაქალაქი
8. პოეტი გიორგი ...
9. ქიმიური ინდიკატორი
10. ძაღლის ნაშიერი
11. ძაღლი: პერის საცოლე
12. მისი დედაქალაქია ტირანა
13. მსახიობი ... ელექტრა
14. წყლის ტრანსპორტი
15. სპორტ. ინვენტ. ფირმა
16. მონღოლეთში: ოქროს ...
17. ხორბლის გასალეწი ფიცარი
18. მდიდრული აგარაკი
19. მსახიობი კერი-... მოსი
20. მსახიობი ... ჩელენტანო
21. ცხენოსანი ჯარი
22. რეჟისორი ბერნარდო ...
23. გამხმარი სიმინდის ღეროები
24. ძვირფასბეწვიანი მღრღნელი
25. აცტეკების დედაქალაქი
26. ზამთრის სპორტის სახეობა
27. ისტორიიდან: ... არაგველი
28. ძვ. სამეჯლისო ცეკვა
29. „მატრიცა" ჰაკერი
30. მსახიობი ... კლოუზი
31. კომპოზიტორი მორის ...
32. წიაღისეული ჭაბურღილიდან
33. მსახიობი ჯულია ...
34. სურათების ჩასადები წიგნი
35. ქალის სასიმღერო ხმა
36. ბაბილონის მეფე
37. მცენარე. ხდიან ზეთს
38. მხ/ფ „დიკ ..."
39. სახელმწ. ცენტრ. ამერიკაში
40. მსოფლიო მასშტაბის პროცესები
41. იაპონური არაყი
42. მოუხარშავი
43. კიანუ რივზი ფილმში
44. დუჟინი, ანუ ...
45. სამიანი ნარდში
46. „ვარსკვლავური ომები" პრინცესა
47. მწვერვალი კავკასიონზე
48. მამალი ცხვარი
49. ადამიანშებმული ეტლი
50. ტიბეტური ხარი
51. შიშველი სხეული მხატვრობაში
52. ჩანთოსანი ცხოველი სამხ. ამერიკაში
53. მომღერალი ალანის ...
54. გულის მთავარი სისხლძარღვი
55. იჩქარე ...
56. პოეტი ... მაჭავარიანი
57. აზერბაიჯანის დედაქალაქი
58. კავშირებითი სიტყვა
59. ღობე
60. შვარცენეგერი: რკინის ...
61. მხ/ფ „... კონგენიალურობა"
62. მისი დედაქალაქია დამასკო
63. ძროხის ნაშიერი
64. ინდოელის თავსაბურავი
65. დიდი, სქელი შალი
66. მომღერალი ... ოსბორნი
67. მტაცებელი ფრინველის ფრენა
68. მოგზაური ... პოლო
69. „ჰამლეტი" პერსონაჟი
70. წარწერა კადრის ქვეშ
71. დღის დასაწყისი
72. ხუთიანი ნარდში
73. ფანქრის შავი გული
74. ტროპიკული ბუზი
75. 1000კგ
76. მორზეს ანბანის ერთ-ერთი ნიშანი
77. მხ/ფ „... მოვიპაროთ მილიონი"
78. მხატვარი ... გრეკო
79. დიუმა. „... მონტე-კრისტო"
80. ადამიანი-ამფიბია
81. სამაგიეროს გადახდა
82. ძველი ეგვიპტის დედოფალი
83. გაზეთების ჯიხური
84. მდინარე აფრიკაში
85. მხატვარი იოკო ...
86. გარემოს დაცვა
87. მსახიობი ... დეინსი
88. „პარმის სავანე" ავტორი
89. ორი ათეული
90. ქიმიური ჭურჭელი
91. მსახიობი ქეით ...
92. მსახ. ... ფრეინდლიხი
93. ისტორიული შუამდინარეთი
94. ხუმარების ქალაქი ბულგარეთში
95. ქიმიური ელემენტი
96. ჭრილი ბანიანი სახლის ჭერში
97. კურორტი ხაშურთან
98. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა
99. მომღერალი მუსლიმ ...
100. მხ/ფ „... და ჩიკოტელა"
101. ესპანელი დიდებული
102. პატარა არხი
103. ქალაქი სამეგრელოში
104. მოჭადრაკე ბორის ...
105. ნამუსი
106. ნილოსის რეპტილია
107. თევზის ჯიში
108. ჭადრაკის ფიგურა
109. მომღერალი ... პავლიაშვილი
110. ათასი მილიარდი
111. გადახურულზედიანი ეტლი
112. ბურთად შეკრული თოვლი
113. კუნძული ხმელთაშ. ზღვაში
114. ინერტული აირი
115. მხ/ფ „...-ორკესტრი"
116. ლონდონის ცენტრი
117. ვერნი. „საიდუმლო ..."
118. პერო. „... მზეთუნახავი"
119. მსახიობი ... მანიანი
120. მომღერალი ... დიასამიძე
121. მსახ. ... ჯიგარხანიანი
121ა. სპორტის სახეობა
122. ხის ჯიში
123. რეჟისორი ჯონ ...
124. თმის საშრობი ხელსაწყო
125. ძვირფას ქვაზე რა
126. მსახიობი ანუკ ...
127. კუნძული წყნარ ოკეანეში
128. ..., ქამი და იაფეტი
129. გრძელი ხალიჩა
130. ...-დე-ჟანეირო
131. ქალაქი შიდა ქართლში
132. სახედარი
133. „მაუგლი" პითონი
134. იაპონური ჭადრაკი
135. პატარა არია
136. მსახიობი ... ფაროუ
137. ბამბის თხელი ქსოვილი
138. „... ვხედავ მზეს"
139. ... მორჩილაძე
140. სამშენებლო მასალა
141. თანავარსკვლავედი
142. ისრის წვეტი
143. მეწველი ძროხა
144. გასეირნება ქალაქგარეთ
145. მხატვარი კლოდ ...
146. რეჟისორი გას ... სენტი

პასუხები: 1. ზარბაზანა; 2. ბალაგანი; 3. პინოჩეტი; 4. „როლს-როისი"; 5. სვერდლოვსკი; 6. კრიმანჭული; 7. ასტანა; 8. ჭალადიდელი; 9. ლაკმუსი; 10. ლეკვი; 11. ანგელინა; 12. ალბანეთი; 13. კარმენ; 14. ნავი; 15. ნაიკი; 16. ურდო; 17. კევრი; 18. ვილა; 19. ენ; 20. ადრიანო; 21. კავალერია; 22. ბერტოლუჩი; 23. ჩალა; 24. ონდატრა; 25. ტენოჩტიტლანი; 26. ბიათლონი; 27. სამასი; 28. სარაბანდა; 29. ნეო; 30. გლენ; 31. რაველი; 32. ნავთობი; 33. რობერტსი; 34. ალბომი; 35. ალტი; 36. ნაბუქოდონოსორი; 37. მზესუმზირა; 38. ტრეისი; 39. ნიკარაგუა; 40. გლობალიზაცია; 41. საკე; 42. უმი; 43. „სიჩქარე"; 44. თორმეტი; 45. სე; 46. ლეა; 47. იალბუზი; 48. ერკემალი; 49. რიქშა; 50. იაკი; 51. ნიუ; 52. ოპოსუმი; 53. მორისეტი; 54. აორტა; 55. ნელა; 56. მუხრან; 57. ბაქო; 58. რომ; 59. მესერი; 60. არნი; 61. მის; 62. სირია; 63. ხბო; 64. ჩალმა; 65. პლედი; 66. ოზი; 67. ირაო; 68. მარკო; 69. ოფელია; 70. ტიტრი; 71. დილა; 72. ბეში; 73. გრაფიტი; 74. ცეცე; 75. ტონა; 76. ტირე; 77. როგორ; 78. ელ; 79. გრაფი; 80. იხტიანდრი; 81. რევანში; 82. კლეოპატრა; 83. კიოსკი; 84. ნილოსი; 85. ონო; 86. ეკოლოგია; 87. კლერ; 88. სტენდალი; 89. ოცი; 90. კოლბა; 91. უინსლეტი; 92. ალისა; 93. მესოპოტამია; 94. გაბროვო; 95. მაგნიუმი; 96. ერდო; 97. სურამი; 98. ტატამი; 99. მაგომაევი; 100. ჩირიკი; 101. იდალგო; 102. რუ; 103. აბაშა; 104. სპასკი; 105. სინდისი; 106. ნიანგი; 107. ორაგული; 108. ეტლი; 109. სოსო; 110. ტრილიონი; 111. ლანდო; 112. გუნდა; 113. მალტა; 114. არგონი; 115. ადამიანი; 116. სიტი; 117. კუნძული; 118. მძინარე; 119. ანა; 120. ნიაზ; 121. არმენ; 121ა. კრივი; 122. ტირიფი; 123. ვუ; 124. ფენი; 125. ინტალიო; 126. ემე; 127. ტაიტი; 128. სემი; 129. ფიანდაზი; 130. რიო; 131. გორი; 132. ვირი; 133. კაა; 134. გო; 135. არიოზო; 136. მია; 137. ჩითი; 138. მე; 139. აკა; 140. გაჯი; 141. ორიონი; 142. ზრო; 143. ფური; 144. პიკნიკი; 145. მონე; 146. ვან. იკითხება: ზღარბი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

სანქცირებო ამბები... სანქცირებო ამბები... სანქცირებო ამბები...

## როგორ მოიზიდოთ ფული საფულის მიხედვით 2016 წელს — რას გვირჩევენ ასტროლოგები?



შესაძლოა, გაგიკვირდეთ, მაგრამ, როგორც ამბობენ, უფულობის მიზეზი სხვა, ფაქტორებთან ერთად, შესაძლოა, არასწორად შერჩეული საფულეც იყოს. გაითვალისწინეთ, რომ სწორად შერჩეული საფულე კარგი მატერიალური შემოსავლის ერთ-ერთი მიზეზია. მნიშვნელოვანია საფულის ფერი და ფორმა. ასევე, რას ატარებთ საფულით. კარგი იქნება, თუ ახალი წლისთვის ძველ საფულეს ახლით ჩაანაცვლებთ და ამასთანავე, შეემზადებით უფრო მეტი შემოსავლის მისაღებად.

**ვერძი:** ამ ნიშნით დაბადებული ადამიანებისთვის წარმატებებისა და მატერიალური წყაროს გაძლიერების სანიღარია შავი, ყავისფერი, ზოგადად, მიწის და ნებისმიერი მეტალის ფერი, ოქროსფერი და ვერცხლისფერი საფულე. საფულეში კი ყოველთვის გქონდეთ ორთეთრიანი სამი ცალი ხურდა ფული. ეს მოიზიდავს ფინანსებს.

**კურო:** საფულით ყოველთვის უნდა ატაროს გიშრის ქვა, რათა შურიანი და ბოროტი ადამიანის თვალისგან დაიცვას და ყოველთვის გარანტირებულად ჰქონდეს ფული. ფერებს რაც შეეხება, კარგია: ლურჯი, ღია ცისფერი, მომწვანო-შაბიამნისფერი, წითელი ან ნარინჯისფერი საფულე.

**ტყუპები:** თუ გსურთ, საფულეში მუდმივად გქონდეთ ფული, ამისთვის სასურველია, საფულეში ყოველთვის გქონდეთ ჩინური მონეტები. რაც შეეხება საფულის ფერს, კარგია: ღია მწვანე ფერის, ბაცი წითელი ან ნარინჯისფერი.

**კირჩხიბი:** 2016 წელს უნდა ატაროთ მოყვითალო ფერის საფულე, რომელიც აუცილებლად ტყავის უნდა იყოს. სასურველია, ჰქონდეს რამდენიმე შიდა ჯიბე, მათ შორის ყველა დიდი ჯიბე მსხვილი კუპიურების ჩასადებად. თუ თქვენ საფულეში მსხვილი კუპიური მოჯეცილად ჩადება გინევთ, ესე იგი ამგვარ კუპიურებს იშვიათად გამოგიგზავნით კოსმოსი!

**ლომი:** წელს ფინანსურ მოგებას შინდისფერი, წითელი, შავი და მწვანე ფერის საფულე გპირდებათ, რომელსაც აუცილებელია, ჰქონდეს ხურდისა და მსხვილი ფულისთვის განკუთვნილი განყოფილება ცალ-ცალკე. ერთმანეთში ნურასოდეს აურევთ ამ ორს! წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი შემოსავალი სტაბილურად მზარდი ვერასოდეს იქნება. კარგია, თუ საფულეში ჩადებთ სამ ბრინჯის მარცვალს, როგორც მატერიალური დოვლათის სიმბოლოს და მთელი წელი ატარებთ. ასევე, კარგია, თუ საფულეში სულ გექნებათ უცხო ქვეყნის ფულის კუპიურა და მას მთელი წლის განმავლობაში ატარებთ.

**ქალწული:** 2016 წელს კარგია მუქი შეფერილობის საფულის ტარება. სასურველია, საფულე ბუნებრივი მასალისგან იყოს დამზადებული. ამისთვის ხავერდი ან სუფთა ტყავი გამოგადგებათ. ამგვარი მასალა ფულს საუკეთესოდ იზიდავს თქვენკენ. ნუ ატარებთ საფულეს ხელოვნური ტყავისგან იმიტომ, რომ მათი ხელოვნურობა სამომავლოდ ფინანსების მხრივ ერთი შეხედვით პერსპექტიულ,

მაგრამ, საბოლოო ჯამში, არაფრისმომცემ შემოთავაზებებს გააქტიურებს. თუ მასში ერთდოლარიანს ჩადებთ და ატარებთ, ეს კიდევ უფრო მოიზიდავს ფინანსებს.

**სასწორი:** აუცილებელია რესპექტაბელური ვიზუალის მქონე საფულე. მასში სულ უნდა გქონდეთ ხუთი ერთთეთრიანი, რომ უფრო მეტი ფინანსები მოიზიდოთ. რაც შეეხება საფულის ფერს, სასურველია, ღია ყავისფერი, შავი, ან კრემისფერი.

**მორიელი:** კარგია, საფულით ჩინური ამულეტის ტარება, რომელიც ერთმანეთზე გადაბმული სამი მონეტისგან შედგება. ფერებიდან კი მუქი წითელი, ყავისფერი ან შინდისფერი საფულე მოგიტანთ წარმატებებს. გაითვალისწინეთ, რომ საფულეში ფულის კუპიურები მუდამ სწორად უნდა ჩაანყოთ და ისინი არ აურიოთ.

**მშვილდოსანი:** ამ ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულმა ადამიანმა წელს დიდი ზომის მწვანე საფულე უნდა ატაროს. ხოლო ფინანსებში წარმატების მომტანი ამულეტია, საფულის ჯიბეში ყურძნის, მწვანე ჩაის ან პიტნის გამოსახულებით ფოტოს ან ნახატის ტარება. ამ მცენარეებს აქვთ უნარი, საკმაოდ სოლიდური თანხა მოიზიდონ თქვენკენ.

**თხის რქა:** 2016 წელს უნდა ატაროს წითელი, მწვანე ან ოქროსფერი საფულე. ასევე, კარგია, თუკი საფულით სიმბოლურად ერთდოლარიან კუპიურას ატარებთ, რომელიც არასოდეს არ უნდა დახარჯოთ. ეს კუპიურა იზრუნებს იმაზე, რომ თქვენს საფულეში ფული აქტიურად მოიზიდოს.

**მერწყული:** ამ ზოდიაქოს ნიშნით



დაბადებულმა ადამიანმა უნდა ატაროს ნატურალური ტყავისგან დამზადებულ საფულე. ფული კი საფულეში იერარქიული პრინციპით უნდა განალაგდეს. ჯერ მსხვილი, შემდგომში კი წვრილი კუპიურები. არასოდეს ამოასუფთაოთ პირწმინდად საფულე! დატოვეთ თუნდაც ხურდა ფული მასში. უმჯობესია, საფულე შავი ან მუქი ყავისფერი იყოს.

**თევზები:** წელს უნდა ატაროთ მკვეთრი ფერის, თვალშისაცემი საფულე, რომელშიც საუკეთესო მეგობრის, მეუღლის ან საყვარელი ადამიანის მიერ ნაჩუქარ რაიმე ნივთს ჩადებთ, თუნდაც ხურდა ფულს. საფულეში მოთავსების წინ ქაღალდის ნებისმიერი კუპიურა კარგად უნდა გაასწოროთ. დაჭმუჭნულ-ჩაკუჭულ ფულს ბედნიერება არ მოაქვს. აუცილებლად გაათავისუფლეთ საფულე სხვადასხვა ტიპის ზედმეტი ქაღალდებისგან, რადგან ფული არ მოდის იმ საფულეში, რომელიც სავსეა ძველი ქვითრებით, ქაღალდზე მიწერილი ტელეფონის ნომრებით და სხვა.

**newposts.ge**

სანქცირებო ამბები... სანქცირებო ამბები...

## მაღვიძარა სახეში გალაწუნებებით გაგაღვიძებთ



თუ მაღვიძარა გვაქვს, ესე იგი დილით ადგომა გვიჭირს, თუ დილით ადგომა გვიჭირს, ვერ ვიტანთ მაღვიძარას და მის გაჩუმებას ყველა ხერხით ვცდილობთ.

შვედი გამომგონებლის, სიმონ გირტცის ახალ გამოგონებას კი ვერაფრით გააჩუმებთ იმიტომ, რომ ის ხმას არ გამოსცემს, სამაგიეროდ ისე გაგაღვიძებთ, რომ ძაძინების სურვილს სრულიად მოგისპობთ.

არაჩვეულებრივი მოწყობილობისთვის გამომგონებელს საათი, ძრავა და ხელოვნური ხელი დასჭირდა, რომელიც პირდაპირ სამიზნის თავთან წუთში 65-ჯერ ტრიალებს.

გამოგონება სიმონმა საკუთარ თავზე გამოსცადა. „ხელმა" ლაშის თმით დაითრია, რის გამოც იძულებული გახდა, ექსპერიმენტი შეეწყვიტა.

– ეს მაღვიძარა უფრო შეურაცხმყოფელია, ვიდრე მტკივნეული, – აღნიშნა ავტორმა.

**newsbang.net**

სანქცირებო ამბები... სანქცირებო ამბები...

## „მისტერ საფრთხობელას" გამარჯვებული არასაკმარის სიმახინჯეში დაადანაშაულეს



რა შეიძლება განიცადოს და იფიქროს ყველაზე მახინჯის ტიტულის მფლობელმა? ალბათ, მიღოცვაც კი როგორი უხერხულია. ყოველ შემთხვევაში, ზიმბაბვეში ჩატარებული „მისტერს საფრთხობელას" კონკურსის 2015 წლის გამარჯვებულს, მისონა სერეს არ უფიქრია, რომ ვინმე სიმახინჯეს დაუწუნებდა და მის გამარჯვებას დაუმსახურებელს უწოდებდა.

2012 წლის გამარჯვებული უილიამ მასვინუ კი, თავის მხრივ პრეტენზიას აცხადებს, მაგის შეუხედაობა რა არის, რადგან კბილები არ აქვს, არიქა, გავგიჟდეთ და ჯილდო მიცეთო? რა ვქნა ახლა, ტიტულის ღირსად რომ დავრჩე, კბილები დავიძრო?

მისონა სერეს მხარდასაჭერად უნდა ითქვას, რომ გარდა კბილების არქონისა, განსაკუთრებული არტისტული შესაძლებლობებით გამოირჩევა და ისე საყვარლად მაიმუნობს, რომ შეუძლებელია, ჯილდოს გარეშე დატოვო.

გასაჩივრების მიუხედავად, შედეგებისთვის არავის გადაუხედავს. სერემაც აიღო დამსახურებული (თუ დაუმსახურებელი, საკითხავი აი, ეს არის) 500 დოლარი და დარბაზის საკუთარი ღირსების აბსოლუტური შეგრძნებით დატოვა.

„მისტერ საფრთხობელას" კონკურსი 2012 წლიდან ტარდება და მისი მთავარი მიზანია იმის ჩვენება, რომ არასტანდარტული გარეგნობის მქონე ადამიანები სოციუმისგან განდევნილები არ არიან, პირიქით, „ყველა ადამიანი ლამაზია", – ეს არის კონკურსის დევიზი.

**newsbang.net**

სანქცირებო ამბები... სანქცირებო ამბები...

## მილიარდერმა 7 წლის ქალიშვილს მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული ბრილიანტი აჩუქა



რა შეიძლება აჩუქოს მამამ 7 წლის ქალიშვილს? თოჯინა, პრინცესას გვირგვინი, ფერიას ფრთები და ჯოხი, ან ველოსიპედი. ყოველ შემთხვევაში ჩვეულებრივ მამას ბავშვისთვის ბრილიანტის ჩუქების იდეა არ მოუვა თავში. ალბათ, უნდა გქონდეს ბრილიანტის ფული, რომ იდეებიც შესაბამისად გაგიჩნდეს.

მილიარდერმა ჯოზეფ ლაუმ გადაწყვიტა, რომ არაფრით ჰგავდა სხვა მამებს და მისი ქალიშვილების ბედნიერების ფასიც განსხვავებული უნდა ყოფილიყო. ბევრი აღარ უფიქრია, ადგა და თავის პატარას „სოტბის" აუქციონზე, მსოფლიოში ყველაზე ძვირად შეფასებული „ცისფერი მთვარე", 12-კარატიანი, 48.4 მილიონ აშშ დოლარად შეფასებული ბრილიანტი უყიდა. მერე გაახსენდა, რომ მეორე ქალიშვილიც ჰყავდა, ის 13 წლის არის და ბრილიანტებშიც უკეთ ერკვევა, ამიტომ 16-კარატიანი, მკვეთრი ვარდისფერი შეურჩია.

ეს 13 წლის ქალიშვილი, ზოია რომ ჰქვია, ვერ წარმოიდგენთ და უკვე ძალიან კარგად ერკვევა ძვირფას ქვებსა და სამკაულებში. ამიტომაც, თავისი საოჯულირო მაღაზია აქვს.

მზრუნველი მამის, ჟოზეფ ლაუს ქონება კი, გასულ წელს 9.9 მილიარდ დოლარად შეფასდა. ბრილიანტი კი არა, ვარსკვლავები რომ არ უყიდა, არ გიკვირთ?

**newsbang.net**

გვერდი მოამზადა დარინა ქამადაძე 593 19-85-99



– ძეხვს შეჭამ?
– მე ვეგეტარიანი... ვეგეტარინა... ვეგენატირა... ვეგეტრია... კი, შევჭამ!

*****

კარზე კაკუნია. ალებს მამაკაცი და ხედავს, ზღურბლზე ჩონჩხი დგას, ცალ ხელში ცელით, ცალ ხელში – ბლოკნოტით:
– უკაცრავად, კოტე აქ ცხოვრობს?
– დდდიიახხხ... ვინ ბრძანდებით?
– სიკვდილი ვარ, შენ შემოგევლე!
– უკვე მომაკითხეთ?
– არა, ჯერ არა. უბრალოდ, კლიენტების წინასწარ აღწერას ვაწარმოებ მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით.
– უი, მართლა?! მაშინ აბა, დაახვიე აქედან!!!
– კარგი, მადლობა... ესე იგი, ვიწერ: „კუჭის კიბო, კატარაქტა, დიაბეტი, ძლექი..."

*****



– მწყერი როგორ უნდა მოვამზადო?
– და რამდენი ცალი გყავს?
– ერთი...
– კატას მიეცი და ის მოუვლის!..

*****

– მართალია, რომ ერთი წუთი სიცილი სიცოცხლეს მინიმუმ 5 წუთით ახანგრძლივებს?
– პრინციპში, გააჩნია, ვის დასცინით... შეიძლება შეგიმცირდეთ კიდეც...

*****

– ბიჭო, რას შვრები, ჩამოდი აგარაკზე!
– არა!
– ტყუილად ამბობ უარს – ქალები გვყავს ამოყვანილი, ბლომად სასმელი, სიყვარული, სილამაზე...
– მამა! ვეღარ მომატყუებთ, გიცანი ხმაზე – დადექით და შენ და დედამ თოხნეთ ეგ კარტოფილი!!!

*****



ინფარქტგადატანილი პაციენტი მკურნალ ექიმს ეკითხება:
– ექიმო, სიგარეტი რომ მოვწიო, შეიძლება?
– ნუ, თუ ეს თქვენი უკანასკნელი სურვილია...

მოამზადა მიხეილ სახვაძემ
დავით ახობაძის ნახატი

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

კიდევ ერთი თვალსაჩინო, ღვაწლმოსილი პედაგოგი

## ზეინაბ კუკულაძე

გამოაკლდა ქართულ მუსიკალურ საზოგადოებას.

ქალბატონმა ზეინაბ კუკულაძემ 1953 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია მუსმცოდნეობის განხრით და იმავე წელს დაიწყო მუშაობა VI ხელოვნების სკოლაში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ემსახურა ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს.

ქალბატონ ზეინაბ კუკულაძის სახით ქართულმა მუსიკალურმა ხელოვნებამ დაკარგა დიდი ერუდიციის მქონე ქართული მუსიკის თავდაუზოგავი ქომაგი. იგი იყო ინიციატორი და მოთავე არაერთი საინტერესო ღონისძიების. არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც კი ეხებოდა მუსიკას, არ დარჩენილა მისი ყურადღების მიღმა. ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე ქალბატონი ზეინაბი გახლდათ რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, ღირსების ორდენის კავალერი, მრავალი ჯილდოს მფლობელი.

მისმა გარდაცვალებამ გული გვატკინა ყველას, ვინც იცნობდა და ახსოვს ზეინაბ კუკულაძე – მუდამ ხალისიანი, აქტიური, ენერგიული და სათნო ქალბატონი.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## მაყვალი ნაწლავების კიბოსგან დაგიხსნით



– მაყვალი ძალიან დიდ ეფექტს იძლევა მსხვილი ნაწლავის კიბოს მკურნალობისას, – ასეთი დასკვნა გამოიტანეს ჩიკაგოს კიბოს კვლევის ნაციონალური ინსტიტუტის სპეციალისტებმა ლაბორატორიულ თაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, კოლორექტარული, ანუ ნაწლავების კიბო მსოფლიოს მოსახლეობაში გავრცელებულ სიმსივნეთა სახეობებში რიგით მესამე ადგილს იკავებს. შესაბამისად, ამერიკელი ონკოლოგების მიგნებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ექსპერიმენტის ფარგებში მეცნიერებმა ლაბორატორიული თაგვები ორ ჯგუფად გაყვეს და ორივეს სპეციფიკური გენი შეუყვანეს, რომელიც ნაწლავების ანთებას, ანუ კოლიტს იწვევდა. თავის მხრივ, კოლიტი მსხვილი ნაწლავის ანთების შედეგია, რასაც შესაძლოა, კოლორექტარული კიბოს განვითარება მოჰყვეს. ამასთანავე, პირველი ჯგუფის მღრღნელების რაციონში სპეციალისტებმა ჩვეულებრივი საკვები შეიტანეს, მეორეში კი მაყვლის ფხვნილი იყო დამატებული.

ჰოდა, აღმოჩნდა, რომ მაყვლით გამოკვებილ თაგვებში ნაწლავების კიბოს გაჩენის რისკი მთელი 45 პროცენტით იყო შემცირებული.

კვლევის ავტორები იმედოვნებენ, რომ ხელისუფლებისგან ან საქველმოქმედო ფონდებისგან მიიღებენ შესაბამის დაფინანსებას, რათა ექსპერიმენტები ახლა უკვე ადამიანებზეც ჩაატარონ და ჯანმრთელობაზე მაყვლის ზემოქმედების შესახებ კიდევ უფრო ამომწურავი ინფორმაცია მიიღონ.

*webplus.info*

## შვრიის ფაფის მოყვარულებს ასთმა არ აშინებთ



მართალია, შვრიის ფაფა არც თუ გემრიელი და გამორჩეული კერძია, მაგრამ ადამიანის ჯანმრთელობაზე მისი დადებითი ზემოქმედების შესაძლებლობებს თუ გავითვალისწინებთ, ადვილად მივხვდებით, რამხელა შეცდომას ვუშვებთ, როცა მასზე სასტიკ უარს ვამბობთ.

გარდა იმისა, რომ შვრიის ფაფას კუჭის მოქმედების გამოკეთება შეუძლია, დადებითად მოქმედებს თირკმლებზე, ამცირებს სისხლში ქოლესტერინის შემცველობას და ასე შემდეგ, დადგინდა, რომ მას ადამიანის ასთმისგან გადარჩენაც შეძლებია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანს, რომელიც შვრიის ფაფას ბავშვობიდან ჭამს, ასთმის განვითარების რისკი მთელი 60 პროცენტით უმცირდება.

იმისთვის, რათა შვრიის ფაფამ გარანტირებული ეფექტი გამოიღოს, სპეციალისტები გვირჩევენ, ის დღეში ერთხელ მაინც მივიღოთ. ამასთანავე, მისი მიღება ნებადართულია 5 თვის ჩვილებისთვისაც.

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**2 დეკემბერი:** შეიძლება გარშემომყოფთა სამართლიანი უკმაყოფილება დაიმსახუროთ იმ რეალობის დაუნახაობისთვის, რის გადმოცემასაც შეეცდებიან.

**კურო 22.04-21.05**
**2 დეკემბერი:** რა უსიამოვნებაც არ უნდა შეგემთხვეთ, შეეცადეთ, ნერვები მოთოკოთ. მით უმეტეს, საღამოს გაირკვევა, რომ ყველაფერი არც ისე ცუდადაა.

**ტყუპები 22.05-21.06**
**2 დეკემბერი:** დღეს სხვადასხვა სახის ფიზიკური აქტიურობები ძალიან მოგიხდებათ. თუ ვარჯიშის დრო არ გაქვთ, შეეცადეთ, რაც შეიძლება მეტი იაროთ ფეხით.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**2 დეკემბერი:** განსაკუთრებულად მობილიზებული და აკურატული იქნებით, ამაში იმის შეგრძნება დაგეხმარებათ, რომ საკუთარ თავს ეკუთვნით და ანგარიშის ჩაბარებას არავინ მოგთხოვთ.

**ლომი 23.07-22.08**
**2 დეკემბერი:** მხოლოდ საღი გონებით იმოქმედეთ. თუ გრძნობთ, რომ აზრები აგერიათ, რჩევა იკითხეთ. ემოციებს არავითარ შემთხვევაში არ აჰყვეთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**2 დეკემბერი:** თქვენთვის ძვირფასი ადამიანები არ დაივიწყოთ, პერიოდულად შეეხმიანეთ მაინც, თუკი ნახვას ვერ ახერხებთ. საინტერესო ამბებს გაიგებთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**2 დეკემბერი:** დღეს თქვენს ყურადღებიანობას გარშემომყოფნი დიდი საჩუქარივით მიიღებენ. ფრთხილად, ამან ვიღაცაში უაზრო ეჭვები არ გამოიწვიოს.

**მორიელი 23.10-21.11**
**2 დეკემბერი:** საყოველთაო ყურადღება არ მიიპყროთ, რადგან ასეთ ადამიანებს შორის შეიძლება ისეთებიც აღმოჩნდნენ, ვისი დანახვაც არ გსურთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**2 დეკემბერი:** შეიძლება, დღეს თქვენთვის ძვირფასი ადამიანისთვის იმის ახსნა მოგიწიოთ, რომ ძალიან ცდება. ეს მშვიდად გააკეთეთ, ნერვიულობის გარეშე.

**თხის რქა 22.12-19.01**
**2 დეკემბერი:** წარმატებას მიაღწევთ, მაგრამ შედეგი იმაზე ნაკლები მოგეჩვენებათ, ვიდრე ელოდით. სულ ტყუილად, ეს სერიოზული მიღწევა იქნება.

**მერწყული 20.01-18.02**
**2 დეკემბერი:** თავს შეზღუდვებს ნუ დაუწესებთ, ეს არცთუ კარგად გამოგივათ და სიამოვნებასაც არ მოგანიჭებთ. ასე რომ, აკეთეთ ის, რაც დაგეგმეთ.

**თევზები 19.02-20.03**
**2 დეკემბერი:** სასურველია, ეს დღე ბავშვების გარემოცვაში გაატაროთ. უფროსებისგან განსხვავებით, ისინი თქვენს ძალისხმევას სათანადოდ დააფასებენ.


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

**სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

**577 74 99 89**

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.


## რემონტი — გამოცდა არა მხოლოდ ჯიბისთვის, არამედ ადამიანის ჯანმრთელობისთვისაც



ამბობენ, სახლის რემონტი შესაძლოა, ნამდვილ კატასტროფად იქცეს, რადგან ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ადამიანს მთელი ბიუჯეტი თვალის დახამხამებაში გაუნადგურდეს, თუმცა, ალბათ, ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ რემონტმა შესაძლოა, სერიოზული დარტყმა ჯანმრთელობასაც მიაყენოს.

ყველაფერში დამნაშავე ის შენაერთებია, რომელსაც საღებავები და წებოები შეიცავს. კერძოდ, საღებავი საფრთხეს უქმნის როგორც პროფესიონალ მღებავებს, ისე ჩვეულებრივ ადამიანებს, რომლებსაც კედლის შეღებვის სურვილი აქვთ. ამასთანავე, საღებავი განსაკუთრებით საშიშ ნივთიერებებს გაშრობის შემდეგ გამოყოფს.

საფრთხის შემცველია ისეთი ბანალური პროცედურებიც, როგორიცაა, მაგალითად, ძველი შპალერის ჩამოხევა ან კიდევ, ნივთების გადაადგილება, რადგან ასეთ დროს ჰაერი საშიში ბაქტერიებით ივსება.

სპეციალისტები გვირჩევენ, რომ რემონტის დროს, თუნდაც ერთი შეხედვით, ყოვლად უწყინარ ცვლილებას გეგმავდეთ, აუცილებელია ნიღბების გამოყენება და ოთახების მუდმივი განიავება სამუშაოების დასრულებიდან რამდენიმე კვირის განმავლობაშიც კი.

*medkarta.com*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



კორპორაციული საღამოს შემდეგ:

– ძვირფასო, ნუ მიყვირი, ძალიან გთხოვ, ახლავე ყველაფერს აგიხსნი: არ დამილევია, არც ერთი კაცისთვის არ მიკოცნია. უბრალოდ, ვჭამდი და ვცეკვავდი და მორჩა! კიდევ გაქვს კითხვები?

– კაბა სად არის?!?!?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

»211359457

გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე 599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: ალექსიძის I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.55